კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

შოთა გელაძე

აშშ-ს საგარეო პოლიტიკური ამოცანები და გეოპოლიტიკური როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ 21-ე საუკუნეში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო
ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

თბილისი-2021წ

ანოტაცია

ამერიკის შეერთებული შტატების როლი, კავკასიის რეგიონზე მეტად მნიშვნელოვანი და სენსიტიური საკითხია, სსრკ დაშლამდე მსოფლიო სამხრეთ კავკასიას, როგორც ცალკე რეგიონად არ განიხილავდა. აღიქმებოდა როგორც სსრკს ნაწილი.

საბჭოთა სოციალისტური კავშირის დაშლის შემდეგ სხვა გამოწვევების წინაშე დადგა მსოფლიო , აშშ - მ მეტი ჩართულობით დაიწყო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მოლაპარაკებები.

აშშ- სთან ერთად, სხვა წამყვანი განვითარებული ქვეყნებიც ცდილობდნენ სხვადასხვა დროს გავლენების მოპოვებას, ხოლო რუსეთი გავლენების დაბრუნებას დღემდე ცდილობს, რომლისთვისაც რამდენიმე ბერკეტს იყენებს,

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სამი ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) საგარეო პოლიტიკური კურსის მახასიათებლები, მათი დამოკიდებულება აშშ - ს მიმართებაში და პირიქით.

ასევე აღწერილია რუსეთის გავლენები სამხრეთ კავკასიის რეგრესის მხრივ და ყველა მეთოდით მათი განვითარებისთვის ხელის შეშლა.

ვფიქრობ, კვლევა მეტად საინტერესოა , აკადემიურ ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული სამხრეთ კავკასიის როლი, ნაშრომი ნათლად დაგვანახებს იმ მძიმე პოლიტიკურ ნიუანსებს რაც სსრკ დაშლის დღიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრობლემას წარმოადგენს.

Annotation

US Foreign Policy Objectives and the Geopolitical Role of the South Caucasus in the 21st Century

The role of the United States in the South Caucasus region is a complex and multifaceted issue. As the South Caucasus was considered as part of the USSR it was not perceived as separate region until the breakup of the Soviet Union which influenced and shaped the US policy vis-à-vis three South Caucasus nations.

After the collapse of the USSR, global powers started to face a more fractured world and the USA stepped up its engagement with the South Caucasus. Simultaneously, other world players started to gain ground with Russia seeking to restore its erstwhile sphere of influence, employing different instruments to this aim.

This work offers an overview and characteristics of the United States foreign policy with respect to the three South Caucasus nations (Georgia, Armenia, Azerbaijan) and vice versa. It also includes description of Russian influence in the South Caucasus and the Kremlin's efforts to hinder and undermine their development.

This paper for the master degree is interesting for its novel approach in re-thinking the role of the South Caucasus in US overarching foreign policy doctrine and seeks to put different lights onto those political nuances which have been afflicting the South Caucasus countries since the very first days of their independence.

Shota Geladze

სარჩევი

ანოტაცია **2**

Annotation **3**

შესავალი **7**

ურთიერთდამოკიდებულების თეორია **12**

თავი I .სამხრეთ კავკასია რეგიონი პოსტ-ბიპოლარულ სამყაროში **14**

1.1 სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური მახასიათებლები 16

1.2ამჟამინდელი კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში 21

თავი II ამერიკის ურთიერთობები- საქართველოში და შიდა კონფლიქტები. **21**

2.1 აშშ-საქართველოს სტრატეგიული ორმხრივი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში .. 21

2.1 ომის შეწყვეტა და მოლაპარაკებები 34

2.2 კონფლიქტის შემდგომი განვითარება ვარდების რევოლუცია 37

2.3 სამშვიდობო ინიციატივები 38

2.4 2008 წლის მოვლენები - შტატების ჩართულობა 39

აგვისტოს ომი 40

თავი III. აზერბაიჯან- ამერიკის შეერთებული შტატების შორის პოლიტიკური ურთიერთობები **41**

3.1 აზერბაიჯანის პოლიტიკური გამოწვევები 41

3.2 მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი 43

3.3 აშშ-ის პოლიტიკა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ 43

3.4 აზერბაიჯანი თანამედროვე პერიოდში 49

თავი IV სომხეთ- ამერიკის შეერთებული შტატების შორის პოლიტიკური ურთიერთობები. **51**

4.1 სომხეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები 51

4.2 სომხეთის გამოწვევები 53

4.3 სომხეთი თანამედროვე პერიოდში 54

4.4 სომხეთი - რიგგარეშე არჩევნები 2021 56

თავი V რას უნდა ელოდოს სამხრეთ კავკასია ბაიდენის ადმინისტრაციისგან: **58**

5.1 მომავლის პერსპექტივები და გადაუჭრელი პრობლემები 58

5.3 ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ **63**

5.4 აშშ-ის გაზრდილი დაინტერესება სამხრეთ კავკასიით 64

თავი VI ექსპერტთა შეფასებები - სამხრეთ კავკასია , რუსეთ - ამერიკის გადაუჭრელი პრობლემა.....66

6.1 ამერიკის შეერთებული შტატები თანამედროვე პერიოდში.....67

6.2- ანონიმური ინტერვიუ აშშ საელჩოს წარმოამდგენელთან.....69

დასკვნა 72

გამოყენებული ლიტერატურა 74

მადლიერების გვერდი

ნაშრომის შექმნის პროცესში ინფომრაციის მოძიებასთან ერთად, აღსაღნიშნავია იმ ადამიანების ჩართულობა, რომელთა დახმარებითაც შეიქმნა ხსენებული ნაშრომი, აღსაღნიშნავია ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელის ჩართულობით და დახმარებით გავეცანი უამრავ მასალას, რომ არა ბატონი ვახტანგ მაისაიას დახმარება, რთული იქნებოდა ხსენებული ნაშრომის შესრულება, ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, ბატონ ალიკა გუჩუას, რომელიც ნაშრომის შექმნის პროცესში ძალიან დამეხმარა, მოგეხსენებათ დღევანდელ პერიოდში რთულია მარტივად ნახო ნაშრომი, რომელიც იქნება მორგებული ღირებულებებს, იქნება ახლოს რეალობასთან , რომელიც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ შევქმნათ სრულყოფილი ნამუშევარი. დამეხმარა ასევე მისი ნაშრომები. ასევე აღსაღნიშნავია ბატონ ლევან წკრიალაშვილის დახმარება, რომელიც ნაშრომის შექმნის პერიოდში უამრავ ინფორმაციას მაწვდიდა ხსენებულ თემასთან დაკავშირებით, თითოეული მათგანის დახმარება უპირობოდ შეუფასებელია.

შესავალი

სსრკ - ს დაშლამ დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო, ხოლო უფრო მკვეთრად საბჭოეთის ქვეყნები, რამდენიმე ქვეყანამ შეძლო და მალე მოახერხა სხვა რელსებზე გადაწყობა, ხოლო სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალ ქვეყნებს ეს ყოველივე ძალიან გაუჭირდათ, დღემდე რთული და დაძაბული ფონი თან ახლავს სამივე ქვეყნის განვითარებას (საქართველო, აზერბაიჯანი სომხეთი) დიდი პოლიტიკური მოთამაშეების გავლენის ქვეშ ხშირად ექცეოდნენ

ამერიკის როლი, როგორც მსოფლიოში ასევე კავკასიის რეგიონში და კერძოდ სამხრეთ კავკასიაში ძალიან მნიშნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო პროცესებზე.

აშშ- ს ინტერესი მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის დაშლის შემდგომ

თემის ირგვლივ ინტერესი კიდევ მეტად იზრდება, როდესაც სსრკ - ს დაშლის შემდგომ გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: საზღვრების კონკრეტიზაცია, მიწების გადანწილება და სადავო ტერეტორიების არსებობა, რამაც დღემდე უამრავი ომი და სირთულე გამოიწვიე.

თემა აქტუალურია საქართველოსთვის, ვინაიდან ირგვლივ განვითარებული მოვლენები, პირდაპირ თუ ირიბად ასახვას ჰპოვებს ზოგადად ქვეყნის განვითარებას.

თემაში გადმოცემულია მესამე ათასწლეულში მიმდინარე მოვლენები, (2000 – 2021 წლები) სადაც შტატების როლი მკაფიოდ გამოიკვეთა, მისი ინტერესები, მზადყოფნა ხსენებული ქვეყნების განვითარების მხარდასაჭერად, მოლაპარაკებების წარმოების

მექანიზმები, დავის მოგვარების პრინციპული მიდგომები, რეგიონზე დაკვირვება და ანალიზი, საკმარისია პოლიტიკური კურსის შესაქმნელად, მოლაპარაკების წარმოების განსავითარებლად, შეცდომების მინიმალიზაციის და ეკონომიკურად სწრაფად განვითარების მისაღწევად, ხსენებული ნაშრომი თითოეულ უნარს ნათლად გადმოგვცემს, კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე.

ხშირად ნახსენები ამიერკავკასია (სამხრეთ კავკასია) სამი ქვეყანა,(საქართველო, სომხეთი აზერბაიჯანი) განსხვავებული წიაღისეული, განსხვავებული კულტურა და რელიგია, თავს იყრის 190 000 კმ ფართობზე. შტატების განსხვავებული ინტერესები თითოეული ქვეყნის მიმართ, დროის ცვლასთან ერთად ინტერესების უცვლელი და ურყევი პოზიცია თავს იყრის ხსენებულ ნაშრომში.

თემის აქტუალობა

ამერიკის როლი, როგორც მსოფლიოში ასევე კავკასიის რეგიონში და კერძოდ სამხრეთ კავკასიაში ძალიან მნიშნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო პროცესებზე. ვინაიდან კავკასიის რეგიონი ყოველთვის რთული სიტუაციური მართვით გმაოირჩეოდა, დიდი მოთამაშის როლი ყოველთვის ახდენდა გავლენას ხსენებულ რეგიონზე.

თემის აქტუალობა გამოწვეულია იმითაც, რომ ხსენებულ რეგიონში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გამოიკვეთა რიგი პრობლემები, საზღვრების კონკრეტიზაცია, მიწების გადანწილება და სადავო ტერეტორიების არსებობა კიდევ უფრო გაარღრმავდა, რამაც დღემდე უამრავი ომი და სირთულე გამოიწვიე. თემა აქტუალურია საქართველოსთვის, ვინაიდან მის სამეზოლბლოში განვითარებული მოვლენები, პირდაპირ თუ ირიბან ასახვას ჰპოვებს საშინაო თუ საგარეო მოვლენებზე.

თემა აქტუალური და ძალიან სენსიტიურია, რადგან სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები, პირდაპირ თუ ირიბად აისახება საქართველოს განვითარებაზე, მომავალსა თუ არსებობაზე. რომელი დიდი სახელმწიფო მოიპოვეს სრლად სამხრეთ კავკასიაზე დომინანტობას გადამყწვეტი მნიშნელობა აქვს, ახლო

აზიას და რუსეთის ფედერაციისთვის. შეერთებული შტატებისა და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება

ნაშრომის მიზანები:

ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის მიზნებია :

- ამერიკის როლი სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი,საქართველო, აზერბაიჯანი)
- წარსული, აწმყო, მომავლის პერსპექტივები.
- ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება.

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს გავაანალიზოთ აშშ- ს მიზნები, მკაფიოდ გამოვხატოთ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა რეგიონში, თითოეული ქვეყნის ჭრილში, დავინახოთ მათი ინტერესები.

თემის ამოცანა:

- 2001-2021 წლებში სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის როლის გაზრდის და შემცირების ძირითადი ტენდენციები

საკვლევი კითხვები:

- რა აინტერესებ გააჩნია სამხრეთ კავკასიის რეგიონში აშშ - ს?
- რა როლს ასრულებს ამერიკა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარების საკითხებში?
- უნდა ითამაშოს, თუ არა აშშ - მ, მედიატორის როლი კონფლიქტების მოგვარებაში?

თემის ჰიპოთეზა

აშშ- ს ინტერესები ნათელი და მკაფიოა, მათ სურთ ხელი შეუწყონ სამხრეთ კავკასიის განვითარებას, ასევე ითანამშრომლონ ხსენებულ ქვეყნებთან, რათა

მოხდეს რუსეთიდან მომავალი საფრთხის განეიტრალება, შეიქმნას სამხედრო ჰაბი კავკასიაში, რომელიც იქნება აშშ - ს მართვის ქვეშ.

კონფლიქტების მოგვარებაში მნიშვნელოვანია სხვა ნეიტრალური ქვეყნის ჩარევა სხვაგვარად კონფლიქტები იყინება უვადოდ და ეწირება უამრავი ადამიანი.

➢ კონფლიქტების მოგვარებაში ამერიკის როლი უმთავრესია, როგორც განვითარებული სახელმწიფოს ჩართულობა, ასევე დეკომრატიულობის ინდექსით ამერიკა მოწინავეა მსოფლიოში შესაბამისად მათი ჩართულობა დაძაბულობის/ომის მოგვარებაში მნიშვნელოვანი და უპირობოა, რადგან ამ ეტაპზე სხვა მსგავსი ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობს.

კვლევის საგანი: აშშ ჩართულობა სამხრეთ კავკასიის განვითარებაში

კვლევის ობიექტი აშშ - ს როლი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარების საკითხებში და ამავდროულად დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში.

კვლევის მეთოდები:

თვისობრივი კვლევის მეთოდები::

- ✓ ისტორიულ აღწერილობითი;
- ✓ მონაცემთა შეფასება:
- ✓ სიტუაციური ანალიზი;
- ✓ ქმედებების შედარებითი ანალიზი;
- ✓ პოლიტიკის შესწავლის ანალიზი;

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობებში განხორციელებულ სხვადასხვა თეორიებს, რომელთაგან აუცილებლად უნდა გამოვყო შემდეგი:

ძალთა ბალანსის თეორია- უძველესი და უმთავრესი კონცეფცია ხსენებულ თეორიაში. ურთიერთობები მჭიდროდ უკავშირდება რეალიზმს და სათავეს იღებს ანარქიული სტრუქტურიდან. იმის გამო, რომ სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა ბრძოლა პირველობისთვის და თვითდამკვიდრებისთვის. ამის აუცილებელი პირობა კი უსაფრთხოებაა დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ერთად მოქმედებენ ხოლმე, რათა დაუპირისპირდნენ იმ სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფს), რომელიც საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს. ამგვარად, საერთაშორისო სისტემა დაყოფილია ქვეყნების რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც შედარებით თანაბარი ძალისანი არიან და მათ შორის არსებული ძალთა ბალანსი (წონასწორობა) არის მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტია საერთაშორისო სისტემაში, ამ სისტემის მდგრადობის ძირითადი პირობა. სახელმწიფოები თავიანთი სურვილით აყალიბებენ კავშირს, რომელიც იცავს თითოეული მათგანის ეროვნულ ინტერესებს, ამასთან, არ არის მათი უფლებების შემლახველი. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო თავისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით იძულებულია დახ,არება სთხოვოს დომინანტ სახელმწიფოს, რაც ხშირად ეროვნული ინტერესების ნაწილის დათმობას იწვევს

გეოსტრატეგიულიბალანსი - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში გეოგრაფიული ფაქტორის როლს და მის გავლენას ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე, სახელმწიფოთა ან სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების მიერ ტერიტორიების გაყოფისა და გავლენის სფეროებად გადანაწილების კანონზომიერებებს.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების- თეორია უკავშირდება ამერიკელ მკვლევარს რიჩარდ კოენს. სახელმწიფოები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ოფიციალური და არაოფიციალური კავშირებით და ინსტიტუტებით, რომელთაც საერთო ფასეულობები გააჩნიათ. აგრეთვე ახორციელებენ თანამშრომლობას სამხედრო საქმეში. რომელიც ასევე უსაფრთხოების სისტემის 4 რგოლს აერთიანებს.

ურთიერთდამოკიდებულების თეორია - თორიის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერ რ. ქიოჰანი და ჯ.ნეი, რომელიც ეწინააღმდეგება რელიზმის სკოლას და გულისხმობს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილის როლი მცირდება და პირიქით იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და სხვა. რაც მთავარია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემათა სუბიექტები ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ერთ მთლიანობა ქმნიან, რომლის შენარჩუნება თითოეული მათგანის ინტერესია.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას აღნიშნული პრობლემატიკის მსგავსი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას და განზოგადებულ იქნეს პრაქტიკაში, სახელმწიფო და საგარეო უწყებების, დიპლომატების, მათ შორის საქართველოში აკრედიტებული უცხო სახელმწიფოების საელჩოების, ფონდების და საზოგადოებრივი კვის ცენტრების მიერ, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სალექციო კურსებში. ნაშრომში გადმოცემული ფაქტები დაეხმარება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ვისაც სურვილი აქვს გაიგოს მეტი აშშ ხედვების საქმიანობის შესახებ კავკასიის რეგიონის მიმართ.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა:

1) **Cornell, Svante, Frederick Starr, and Mamuka Tsereteli. A Western Strategy for. Washington: Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, 2015.** - ნაშრომში ავტორი კრიტიკულად გადმოცემს აშშ და ევროპის შეფასებას სამხრეთ კავკასიის მიმართ, ავტორები ხაზგასმით საუბრობენ კავკასიის მნიშნელობაზე და ჩართულობის მექანიზმებზე. აშშ ჩართულობის მნიშნელობა ძალიან სიღრმისეულადაა განხილული ნაშრომში, კავკასიის განვითარებაში შეტანილი წვლილი და სიტუაციური ანალიზი ნათლად გვაჩვენებს სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლად არსებობსი მნიშვნელობას.

2) პიპინაშვილი, დავით. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009 - ავტორი სსრკ დაშლის შემდეგ ისტორიას განიხილავს კრიტიკულ ჭრილში, ღრმად იაზრებს სამივე ქვეყნის მზადყოფნას განვითარების გზაზე, ის თანმიმდევრულად განიხილავს შესაძლო სიტუაციურ მოვლენებს, აფასებს რეალობას, შესაძლო სირთულეებს, რაც აშშ სთან დაახლოებით შეიძლება მოყვეს ხსენებულ ქვეყნებს.

3) Eugene, R., Sokolsky, R., & Stronski, P. (2017). U.S. POLICY TOWARD. Washington: Carnegie Endowment for International Peace. - *ავტორი აფასებს მესამე ათასწლეულში მიმდინარე მოვლენებს, კავკასიის განვითარების გზებს, ასევე გადმოგვცემს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ საფრთხეებს, რომელიც შესაძლოა სამომავლოდ იქნას განხორციელებული.*

4) **Baban, Inessa, and Zaur Shiriyev.** ***THE U.S. SOUTH CAUCASUS.*** **ankara: Turkish Policy, 2010.** ავტორები აანალიზებენ აშშ -ს საგარეო პოლიტიკის ევოლციას სამხრეთ კავკასიაში, რომელიც შემუშავებული იქნა , ბილ კლინტონის ბუშის და ობამას ადმინისტრაციის მიერ. სამი კონცეფცია „რბილი ძალა“ მყარი ძალა“ ჭკვიანი ძალა“. როგორ აღიქმება აზერბაიჯანში აშშ -ს სტრატეგია, ამ რეგიონის მიმართ, ყოველივე ეს გეოგრაფიული მდგომარეობის, ენერგორესურსების და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია.

თავი I .სამხრეთ კავკასია რეგიონი პოსტ-ბიპოლარულ სამყაროში

სანამ თემის გამოკვლევაზე გადავიდოდეთ აღსაღნიშნავია გვესმოდეს პოსტ-ბიპოლარული სისტემის პარამეტრები. აუცილებელია იმის გაგება, თუ რა არის საერთაშორისო ურთიერთობები ზოგადი გაგებით,რას მოიცავს სისტემური მიდგომა და რა სისტემები არსებობს.პირველად გამოიყენეს ტერმინი "საერთაშორისო ურთიერთობები"ინგლისელი მოაზროვნის ჯერემი ბენომის მიერ მე -17 - მე -18 საუკუნეების მიჯნაზე.

პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც შეისწავლის საგარეო პოლიტიკასა და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს საერთაშორისო სისტემაში.[1] ეს მოიცავს სახელმწიფოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა საერთაშორისო ორგანიზაციებს, და მულტინაციონალურ კორპორაციებს. სუ(საერთაშორისო

---

[1] პოლიტიკა - გვ.1

https://ka.autograndad.com/-12/1/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.html

(ბოლოს გადამოწმებულია 21/6/2021)

ურთიერთობები) არის როგორც აკადემიური ასევე საჯარო პოლიტიკის სფერო, რომელიც შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნორმატიული. იგი ცდილობს სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის გაანალიზებასა და განსაზღვრას. პოლიტიკური მეცნიერების გარდა, სუ-ს შეხება აქვს ისეთ მეცნიერებებთან, როგორებიცაა: ეკონომიკა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია და კულტუროლოგია.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991წ) აშშ სამხრეთ კავკასიას მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის შემადგენლობაში განიხილავდა. ეს ვითარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შეიცვალა. საქართველო აშშ -ს მოკავშირე გახდა, აზერბაიჯანი აშშ-ის მიმართ კეთილად არის განწყობილი, სომხეთი კი ამერიკასთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს, მიუხედავად იმისა, რომ ერევნისთვის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში უსაფრთხოების გარანტი რუსეთი უნდა ყოფილიყო. აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში საკუთარი უსაფრთხოების, ენერგეტიკული და პოლიტიკური ინტერესი გააჩნია.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაშლამ დატოვა ისეთი გადაუჭრელი პრობლემები როგორიცაა, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და მთიანი ყარაბაღი ტერეტორიები, რომელსაც დღემდე უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და უკანასკნელ პერიოდში ყარაბაღში განვითარებული მოვლენები უკიდურესად დამძიმდა.

16 მილიონზე ნაკლები მოსახლეობა და 71 000 კვადრატული ფართობი, ესა სამი ქვეყნის მაჩვენებელი (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ზომის მაშტაბურობის მიუხდავათ ხსენებულ ქვეყნებს არ შესწევთ დღეის მდგომარეობით უნარი, დამოუკიდებლად მართონ სახელმწიფო, რადგან მათი მდებარეობიდან გამომდინარე დიდი სახელმწიფოები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეში. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან პირველ ათწლეულში, აშშ დიდი ყურადღება გამოიჩინა ხსენებული ქვეყნების მიმართ, პრეზიდენტი უილიამ ჯეფერსონ კლინტონი (1993-2001) აანალიზებდა სამხრეთ კავკასიის მნიშნველობას, მისი ენთუზიაზმით განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის

პირველი ნაბიჯები, როდესაც მოლაპარაკების მაგიდასთან რამდენიმე ქვეყნის ლიდერები შეიკრიბნენ და საფუძველი ჩაუყარეს ხსენებულ პროექტს. ნავთობსადენის პროექტის განხორციელება დაიწყო 1998 წლის 29 ოქტომბერს, თურქეთში ხელი მოეწერა დეკლარაციას. ხელმომწერები იყვნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე,[2] ყაზახათის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი და უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი, აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრის ბილ რიჩარდსონის თანდასწრებით ნავთობსადენის მშენებლობას სათავე დაედო 2002 წლის 18 სექტემბერს. აშშ - ის ადმინისტრაცია რესურს არ ზოგავს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მოსაგვარებლად. მესამე ათასწლეულის დადგომასთან ერთად კავკასიის მთავრობებმა ააგეს დამოუკიდებლობის საფუძვლები, რისი ჩამოყალიბებაც დღემდე მიმდინარეობს, რუსეთის შემაბრკოლებელი ნაბიჯების გამო.

1.1 სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური მახასიათებლები

სამხრეთი კავკასია ესაა რეგიონი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვისა და კასპიის ზღვას შორის და მოიცავს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს. წყაროში სამხრეთ კავკასიის სინონიმია ამიერკავკასია, შემდეგნაირად არის განმარტებული: ამიერკავკასია არის კავკასიონის ქედის სამხრეთი რეგიონი. კოლხეთისა და მტკვრის მთათაშორისი ბარი, ამიერკავკასიის მთიანეთი, თალაშის მთები და ლენქორანის დაბლობი. XX საუკუნის პოლიტიკური ტერმინოლოგიით „ამიერკავკასია“ (Закавказье) რუსულიდან მოდის და ნიშნავს კავკასიონის ქედს მიღმა არსებულს. დღეს გამოიყენება უფრო ნეიტრალური ტერმინი – სამხრეთი კავკასია. ამიერკავკასიას განეკუთვნება კავკასიონის სამხრეთ კალთის უმეტესი ნაწილი.

[2] ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის რეალიზაციის შესახებ -გვ.2 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1254070?publication=

(ბოლოს გადამოწმებულია 21/6/2021)

სამხრეთ კავკასია მოიცავს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ესენია სომხეთი აზერბაიჯანსა და საქართველოს.[3]

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „კავკასია“, რომელიც მოიცავს ტერიტორიას კავკასიონის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ამ ადგილის ბერძნულ სახელს „კაუკასოს“ უკავშირდება. ბერძნული „კაუკასოს“ კი ძველი ირანული „კაპკაჰ“ სახელწოდებისაგან უნდა მომდინარეობდეს, რაც „დიდმთას“ ნიშნავს. სამხრეთ კავკასია არაა მხოლოდ ერთი სახელი, რომლითაც ეს ტერეტორია სახელდება, ასევე აქტიურად გამოიყენებოდა და დამკვიდრებული იყო ტერმინი „ტრანსკავკასია“. ქართველი ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამიერკავკასიას“ დასავლურ ენებზე „ტრანსკავკასიას“ უწოდებენ, რაც რუსულ „Закавказье“-ს თარგმანს წარმოადგენს, ლათინური „ტრანს-“ თავსართის გამოყენებით რუსული „за-“ პრეფიქსის შესაბამისად. „ტრანსკავკასია“ – „Закавказье“, მაშასადამე, ნიშნავს „კავკასიის ქედის, კავკასიონის მიღმა ტერიტორიას“, ქართულად როგორც „იმიერკავკასია“ გადმოითარგმნება. სამხრეთ კავკასიის რეგიონი რომელიც მოიცავს ტერიტორიას კავკასიონის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ამ ქედის ბერძნულ „კაუკასოს“ სახელს უკავშირდება. თავად ბერძნული „კაუკასოს“ ტერმინი ძველი ირანული „კაპკაჰ“ სახელწოდებისაგან უნდა მომდინარეობდეს, რაც „დიდმთას“ ნიშნავს. შესაბამისად „კავკასია“ გეოგრაფიულად წარმოადგენს გარკვეულ ტერიტორიას შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის, რომელსაც კავკასიონის ქედი ორ ნაწილად ჰყოფს – ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად.კავკასიონის სამხრეთით ქედის მდებარე ტერიტორიის „ტრანსკავკასია“ – „Закавказье“ ტერმინით აღნიშვნა საქართველოს გულისხმობს სომხეთისა და აზერბაიჯანის მომცველი ამ ტერიტორიის დანახვას და სახელდებას ჩრდილოეთიდან, „კავკასიის“ სამხრეთი ნაწილის შეფასებას „ჩრდილოელი დამკვირვებლის თვალით“, რის გამოც ეს ტერმინი გარკვეულ პოლიტიკურ, ასე ვთქვათ, „კოლონიურ“ შეხედულებას იძენს. „კავკასიის“ სამხრეთ ნაწილს ჩვენ ქართულად „ამიერკავკასიას“, ანუ კავკასიის ქედის „აქეთ“, „ამიერ“ მდებარე რეგიონს ვუწოდებთ.

[3] გამყრელიძე თ., „ტრანსკავკასია“ თუ „სამხრეთკავკასია?“, გეოპოლიტიკური ნომენკლატურის დაზუსტებისათვის, თბ., 1998, გვ 53

ამისგან განსხვავებით, რუსულ და დასავლურ სიტყვახმარებაში ჩრდილოეთ კავკასიას უწოდებენ, ხოლო კავკასიის სამხრეთ ნაწილს ლოგიკურად მოსალოდნელი და გეოგრაფიულად გამართლებული განსხვავებით პოლიტიკური ორიენტაციის მქონე „Закавказье“ – „ტრანსკავკასია“ ტერმინით აღნიშნავენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ტერმინი „ტრანსკავკასია“ – მიზანშეწონილია ამ ენებში შეიცვალოს პოლიტიკურად ნეიტრალური და გეოგრაფიულად ზუსტი ტერმინებით „ჩრდილო კავკასია“ – „Северный Кавказ“, „North Caucasus“ და „სამხრეთ კავკასია“ – „Южный Кавказ“, „South Caucasus“; ქართულში „სამხრეთ კავკასია“ ტერმინის პარალელურად შესაძლებელია ტრადიციული „ამიერკავკასიაც“ გამოვიყენოთ (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მომცველი ტერიტორიის აღსანიშნავად). ეს საკითხი ხშირად დასმულა ჩვენს მიერ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო-პოლიტიკურ კონფერენციებზე კავკასიის შესახებ და დადებითად იქნა აღნიშნული მონაწილეთა მიერ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ტრადიციული ტერმინები „ტრანსკავკასია“ – „Закавказье“ იმდენად ფეხმოკიდებულია საერთაშორისო ლექსიკონში,რომ მათ ნაცვლად ტერმინ „სამხრეთ კავკასიის“ დამკვიდრებას, ალბათ, დრო დასჭირდება. უნდა შეიცვალოს უცხოურ ორგანიზაციათა ამიერკავკასიასთან დაკავშირებული პროექტების ტერმინოლოგია: „ტრანსკავკასია“ – „Закавказье“ ტერმინის ნაცვლად უნდა იხმარებოდეს ტერმინი „სამხრეთ კავკასია“, ტერმინი „ტრანსკავკასიური“ (მაგალითად, „ტრანსკავკასიური მაგისტრალი“) დარჩება მხოლოდ მთელს „სამხრეთ კავკასიაში“ გამავალი გამჭოლი გზის, დერეფნის აღსანიშნავად აღმოსავლეთ– დასავლეთის (ან დასავლეთ–აღმოსავლეთის)

სამხრეთ კავკასია პატარა, მჭიდროდ დასახლებული რეგიონია, კავკასიონის სამხრეთ ნაწილში.[4] კავკასიონის მაღალმთიანი რეგიონი ძირითადად საქართველოს შემადგენლობაში შედის, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, ხოლო სომხეთი საქართველოდან სამხრეთით მდებარეობს, რომლიც ასევე მაღალმთიან პლატოზეა

[4] Transcaucasia - region, Eurasia გვ.15
https://www.britannica.com/place/Transcaucasia
(ბოლოს გადამოწმებულია 14/06/2021)

მთების ჯამური ფართობი 186100 კვადრატული კილომეტრია. სამხრეთ კავკასია ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია რუსეთით, აღმოსავლეთით კასპიის ზღვით, სამხრეთით თურქეთით და ირანით, ხოლო დასავლეთით შავი ზღვით.

19-ე საუკუნის დასაწყისში ორი დიდი ომის შემდეგ, რომელსაც რუსეთ-სპარსეთის ომი ეწოდა (1804-1813 და 1826-1828), რუსეთის იმპერიამ დაიპყრო სამხრეთ კავკასიის გარკვეული ნაწილი. საზავო ხელშეკრულებით, რომელიც 1804-1813 წლის ომს მოჰყვა გულისტანის სახელით იქნა აღწერილი, ირანმა დაკარგა დაღესტანი და საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილი სრულად, ასევე ამჟამინდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნაწილი. თურქმენჩაის ზავის შემდეგ კი, რომელიც 1826 წლების ომს მოჰყვა, ირანმა დაკარგა სომხეთის ტერიტორია. 1828-1829 წლის ომის შემდეგ, ოსმალთა იმპერიამ რუსეთს გადასცა დასავლეთ საქართველო (ბათუმის გარდა). 1844 წელს ამჟამინდელი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ერთად გახდა ნაწილი რუსეთის იმპერიის მოგვიანებით 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემგომ პერიოდში რუსეთმა სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიაც მოიპოვა ყარსის ოლქში გააერთიანა. პარალელურად რუსეთი სრულად აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიაში შემავალ ქვეყნებს 1859 წელს მან საბოლოოდ გატეხა აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ურჩობა, რომელიც შამილის ხელმძღვანელობით წარიმართებოდა, ხოლო 1864 წელს დასავლეთ კავკასიის მთიელთა დამარცხებაც მოახერხა. ჩერქეზთა დიდი ნაწილი თავის სამშობლოდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. გადასახლებულთა ნაწილი გზაში დაიღუპა. კავკასია რუსეთის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობას თან ახლდა ეთნიკური სურათის შეცვლა.[5]

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ 1918 წელს, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ორჯერ ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოყალიბდა. პირველად 1918 წლის 9 აპრილს 1918 წლის 26 მაისამდე, დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სახით, ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახით 1922 წლის 12 მარტიდან 1936 წლის 5 დეკემბრამდე. ხსენებულკ პერიოდში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან

[5] Allen F. Chew. An Atlas of Russian History: Eleven Centuries of Changing Borders. Yale University Press, 1967. pp 74

ყველაზე დიდხანს დამოუკიდებლობა საქართველომ შეინარჩუნა. დასავლეთის ქვეყნებისაგან მიაღწია იურიდიულ აღიარებასა. კონსტიტუციის შემუშავება და მიღებაც მოასწრო ხსენებულ პერიოდში საქართველოს.. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად, საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება მოხდა. უმძიმესი დრო იყო საქართველოსთვის. მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მოსაზღვრე სახელმწიფოების ხელში გადავიდა. გორბაჩოვის „გარდაქმნის“ პერიოდს, საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციას მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი, 1991 წლის 17 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმს, საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად, საქართველომ 31 მარტს დამოუკიდებლობის რეფერენდუმით უპასუხა რის შემდეგაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, რასაც უმძიმესი შედეგები მოყვა. სომხეთმა საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ 1991 წლის 23 სექტემბერს ამცნო მსოფლიოს, აზერბაიჯანმა კი ბოლოს 1991 წლის 18 ოქტომბერს გამოაცხადა. 2008 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ომი გაიმართა, რომელმაც რეგიონში არასტაბილურობას ჩაუყარა საფუძველი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხსენებულმა სახელმწიფოებმა განვითარების განსხვავებული გზა აირჩია, 2003 წელს ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირის მიმართულებით დაიწყო.. სომხეთმა განაგრძო რუსეთთან ურთიერთობების განვითარება, როდესაც აზერბაიჯანმა ნაცვლად რუსეთისა სტრატეგიულ პარტნიორად თურქეთი და სხვა ნატოს წევრი ქვეყნები აირჩია.[6]

[6] სამხრეთი კავკასია - მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია გვ.2 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90 (ბოლოს გადამოწმებულია 01/05/2021)

1.2ამჟამინდელი კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში

საუკუნეების განმავლობაში, ევრაზიაში ხალხთა მასობრივმა მიგრაციამ, რეგიონის ეთნიკურად გარდაქმნა გამოიწვია. არ არის გასაკვირი, რომ კავკასიაში გაცილებით უფრო მეტი სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ენობრივი ჯგუფები ცხოვრობენ ვიდრე მოცემული ფართობის მქონე სხვა არეალზე, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ეთნიკური და კულტურული თვითმყოფადობა სამხრეთ კავკასიაში განპირობებული იყო გეოგრაფიული იზოლაციით, რომლებიც მთებით იყვნენ ერთმანეთისგან იზოლირებულები და მცირე დასახლებებად ცხოვრობდნენ საუკუნეების განმავლობაში. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოუცდელი სახელმწიფოებებად გარდაიქმნენ, რომელთა შიდა არეულობით გარეშე სახელმწიფოებმა ისარგებლეს და რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე რამდენიმე ფანტომურ - ეთნიკურ ნიადაგზე გამოწვეული კონფლიქტები წაახალისეს. [7]

თავი II ამერიკის ურთიერთობები- საქართველოში და შიდა კონფლიქტები.

2.1 აშშ-საქართველოს სტრატეგიული ორმხრივი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საქართველოსა და აშშ-ის სტრატეგიული თანამშრომლობა არის შეუვალი და ყოვლისმომცველი ის დაფუძნებულია ურთიერთმხარდაჭერაზე. აღნიშნული თანამშრომლობის მიზანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის განმტკიცება სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის მიზნით.

[7] არნ. ჩიქობავა, „ენათმეცნიერების შესავალი“ გვ.4, თბილისი 2008 წ.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების განვითარება

შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1992 წელს ოფიციალურად აღიარა , თავდაცვის მიმართულებით თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება 2001 სექტემბრიდან იწყებს ათვლას, როდესაც საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ შეუერთდა ბრძოლას

2002 წელს შტატების ინიციატივით დაიწყო საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა , ის დახმარებას უწევდა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებს პანკისის ხეობის, მთიან საზღვრისპირა რეგიონში, აგრესორებისგან მომდინარე შიდა ტერორისტული საფრთხეების მოგვარებაში

2005 წელს, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (GTEP) სტაბილურობის შენარჩუნების ოპერატიულ პროგრამად გარდაიქმნა (SSOP და SSOP II), რომელიც ერაყის მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებისთვის ამზადებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა რიგითიდან სამეთაურო შტაბის ჩათვლით.

ოპერაცია სახელად „ერაყის გათავისუფლებისთვის“ დაწყებიდან 2008 წლის აგვისტომდე, 7800 ქართველმა ჯარისკაცმა მიიღ მონაწილეობა სამხედრო ჩართულობაში ერაყში.

აგვისტოს ომის შემდეგ, აშშ-ის ევროპულმა სარდლობამ გაანალიზა საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოვლისმომცველი შეფასება. აღნიშნულმა განსაზღვრა, რომ თანამშრომლობის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო სექტორის რეფორმის ხელშეწყობა და განვითარება, თავდაცვის სტრატეგიული და საგანმანათლებლო საფუძვლების შექმნა, ის ხელს შეუწყობდა აუცილებელი წვრთნების, განათლებისა და რაციონალური ძალის დაგეგმვასა და შესყიდვების განხორციელებას. რომელიც საბოლოოდ შეუწყობდა ხელს სამხედრო ქვედანაყოფების განვითარებას.

პროცესების დინამიკამ საფუძველი ჩაუყარა აშშ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებას, რომელსაც 2009 წელს ხელი მოაწერა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაზე ხელმოწერისთანავე განხორციელდა მნიშვნელოვანი მიღწევა, კერძოდ:

- ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგიის გამოქვეყნება.
- სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის ძირითადი ინიციატივების განხორციელება.
- 2010-2014 წლების თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის დასრულება.

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარება, რაც ასევე მოიცავს ოფიცერთა საბაკალავრო პროგრამას (ბატაშვილი 2018)[8].
- საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურული რეორგანიზაცია.

პროგრესი ასევე მიღწეულ იქნა პროფესიულ სამხედრო განათლებაში, კერძოდ:

- საქართველოს სამეთაურო და საშტაბო სწავლების კურსის განვითარება.
- საქართველოს სიმულაციური სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბება.

ამავე პერიოდში აშშ-სთან თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება წარმოიშვა- აშშ-ის მხარდაჭერა ნატო-ს ეგიდით დაწყებულ ოპერაციებში, კერძოდ 2009 წლის შემოდგომაზე დაარსდა საქართველოს გადასროლის პროგრამა - უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალები

ამჟამად ქართული მხარე მონაწილეობს ნატო-ს მხარდაჭერის მისიაში რომელთა რიგებშიც 870 სამხედრო მოსამსახურე იღებს მონაწილეობას. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ერთი სული მოსახლით პირველი კონტრიბუტორი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში.[9] რაც მისასალმებელი ფაქტია, რადგან პატარა ქვეყნისთვის ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტია.

---

[9] თანამშრომლობა აშშ-სთან - გვ.1-3

თანამშრომლობის მთავარი მექანიზმები

2016 წლის 6 ივლისს, აშშ-სა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც თავდაცვისა და უსაფთხოების სფეროში გულისხმობს პარტნიორობას

ხსენებულის საფუძველზე, 2016 წლის 6 დეკემბერს, საქართველომ და აშშ-მ ხელი მოაწერეს უსაფრთხოების ნაწილში 2016-2019 წლებისთვის თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც 2019 წლის 21 ნოემბერს განახლდა და დღემდე მოქმედი ხელშეკრლებაა.

კიდევ ერთხელ დადასტურდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის უპირობო მნიშვნელობა თავდაცვის და თავსებადობის დონის გაუმჯობესების მიზნით განისაზღვრა ორმხრივი პრიორიტეტები.

თანამშრომლობის მთავარ მიმართულებებად ჩამოყალიბდა საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), საქართველოს გადასროლის პროგრამა და საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) გაჯანსაღება აღნიშნული პროგრამები და ხელშეკრულებაში ასახული სხვა აქტივობები ცხადყოფს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას, რეფორმების განხორციელებასა და მზადყოფნის დონის გაუმჯობესებას , ეს კი ცალსახად ემსახურება მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოს საბრძოლო მზადყოფნის განვითარებას.

აშშ – საქართველოს ორმხრივი აქტივობები, დაგეგმილია 2020-2022 წლებში, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეფექტურად გადასვლას, მიმღები ქვეყნიდან მზადყოფნის პროცესში მყოფ პარტნიორამდე, რომელსაც შეუძლია შექმნას და ასევე შეინარჩუნოს ტერიტორიული თავდაცვისთვის საჭირო მზადყოფნის დონე, მოახერხოს ტერეტორიების დაცვა და ასევე სხვა საფრთხეების შეკავება, საქართველოს ასევე ექნება შესაძლებლობა სხვა ნატოს მისიებში მიიღოს მონაწილეობა, რაც სამომავლოდ დაეხმარება ქვეყანას გახდეს მეტად მძლავრი და ღირებული.

---

https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan

(ბოლოს გადამოწმებულია 05/06/2021)

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა

აშშ წარმოადგენს საქართველოს მთავარ პარტნიორს მზადყოფნის პროცესში, რომელიცმ ისნად ისახავს შეიარაღების ნაწილში სრულ მობილიზებას.

2018 წლის მაისში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა დაიწყეს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის გააქტიურება და განვითარება, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა წარმოადგენს ორი კომპონენტის ერთობლიობას ესენია : **მზადყოფნის პროგრამა - ინსტიტუციური განვითარება (GDRP-და**

მზადყოფნის პროგრამა წვრთნა (GDRP-T)

GDRP-ის დახმარებით საქართველოს თავდაცვის ძალები უკვე მზადაა იმისთვის, რომ სათავეში ჩაუდგეს გადასროლისწინა მოსამზადებელ სწავლებებს.

საბრძოლო მომზადების ცენტრის განვითარება

პროგრამა GDRP-ის პარალელურად აშშ-ის ფინანსური მხარდაჭერით გრძელდება ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) სრულყოფა.

საერთაშორისო სწავლებები

საქართველო ყოველწლიურად მასპინძლობს და ასევე იღებს მონაწილეობს აშშ-ს მიერ ორგანიზებულ სწავლებებში. აღსანიშნავია ქართულ-ამერიკული მრავალეროვნული სწავლება „NOBLE PARTNER“ და „AGILE SPIRIT“ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ასევე ხაზს უსვამს საქართველოს ღირებულებას ხენებული საკითხის მიმართ.

აშშს პროგრამა „პარტნიორობა ქვეყნებს შორის“

1994 წლიდან საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის ჯორჯიის შტატის ეროვნულ გვარდიასთან „პარტნიორობა ქვეყნებს შორის“ პროგრამა (SPP) მტკიცე მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია, ის მნიშვნელოვანია როგორც საგანმანათლებლო, ასევე ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით

პროგრამა „პარტნიორობა ქვეყნებს შორის“ არ მოიცავს მხოლოდ ეროვნული გვარდიის შესაძლებლობების განვითარებას, ის ასევე ითვალისწინებს დახმარებას ისეთ კრიტიკულ დარგებში, როგორიცაა გენერალური ინსპექცია, ლოჯისტიკა, კიბერუსაფრთხოება, სამართალი, სტიქიური უბედურებებისთვის მზადყოფნა, მედიცინა, საავიაციო შესაძლებლობების განვითარება და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მხარდაჭერა. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული გვარდია ატარებს გაცნობით ღონისძიებებსა და სწავლებებს, მონაწილეობს ეროვნული სწავლებებში ის ასევე მხარს უჭერს სამოქალაქო და ჰუმანიტარული დახმარების პროექტებს.

აშშ-ს მხარდაჭერა დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახებისადმი

თანამშრომლობის კიდევ ერთ მიმართულებას წარმოადგენს დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა შესაძლებლობების განვითარება. დაჭრილი ქართველი სამხედროებისა და BAC-G პროგრამა ჩამოყალიბდადაჭრილი ქართველი სამხედროების ინტეგრირებული და ინტერდისციპლინარული რეაბილიტაციის პროგრამის უზრუნველსაყოფად.

2019 წელს საქართველომ დაასრულა მრავალპროფილური სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა,რომელიც წეროვანში მდებარეობს, „მარო მაყაშვილის სახელობის სარებილიტაციო ცენტრი“ რომელიც ემსახურება დაჭრის სამხედროებს.

ხსენებული დაწესებულება სრულად დაფინანსებულია შტატების მიერ.

ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები

აშშ და საქართველო შეთანხმდნენ საქართველოს თავდაცვის ძალების გაჯანსაღებაზე, ერთი ქვეითი ასეულის ნატო-ს საპასუხო ძალებში (NRF) ჩართულობით

კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ნატოსთან დაკავშირება, 2013 წლიდან აშშ ეხმარება, საქართველოს თავდაცვის ძალებს ნატო-ს საპასუხო ძალებში მონაწილეობის მისაღებად წიან მომზადების პროცესში.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP)

დამატებით, აშშ არის ლოჯისტიკის ინიციატივის ხელმძღვანელი ქვეყანა, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა აღნიშნული ინიციატივის განხორციელებას მოვლენილი ექსპერტით.

აშშ-ს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ძირითად ჯგუფის მოადგილის თანამდებობაზე მოვლენილი ჰყავს ექსპერტი, რომელიც პასუხისმგებელია პაკეტის ფარგლებში განსაზღვრული ინიციატივების განხორციელების მონიტორინგზე. საქართველოს თავდაცვის ძალებმა წარმატებით მიაღწია ლოგისტიკის ინიციატივის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს, რაც ინიციატივის ახლოს მომავალში დასრულების საშუალებას იძლევა.

საგანმანათლებლო პროგრამები

სამხედრო განათლება და წვრთნები (IMET):

პროგრამა მოიცავს, როგორც მაღალი დონის, ასევე საშუალო და საწყისი მომზადების კურსებს ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის.

საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის გადამზადება აშშ-ის სამხედრო სასწავლებლებში.

კონტრ-ტერორისტული სწავლების პროგრამა (CFTP):

კონტრ-ტერორისტული სწავლების პროგრამა ყოველწლიურად აფინანსებს მაღალი დონის კურსებს აშშ-ს თავდაცვის ეროვნულ აკადემიასა და ეროვნულ

სამხედრო კოლეჯში, ასევე აფინანსებს მოკლევადიან კურსებს სპეციალური ოპერაციების პერსონალისათვის.

ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლების ევროპული ცენტრი:

ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლების ევროპული ცენტრი (George C. Marshall Center for Security Studies) ყოველწლიურად გვთავაზობს სასწავლო ადგილებს უსაფრთხოების სასწავლო პროგრამასა და სხვა კურსებზე.

მრჩეველთა ჯგუფები

მრჩეველთა ჯგუფების დაფინანსება ხორციელდება საქართველოსთვის განკუთვნილი აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების (FMF) ბიუჯეტიდან, ჯგუფები დახმარებას უწევენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებს თავდაცვის გაძლიერებაში, პროფესიული სამხედრო განათლების გაჯანსაღებაში და სხვა.

საგარეო სამხედრო დაფინანსება (FMF)

საქართველოს 1997 წლის შემდეგ დღმდე აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების ფარგლებში მიღებული აქვს $400 მლნ-მდე. 2019 წელს საქართველოს თავდაცვის ძალებს 35 მილიონი აშშ დოლარი.

საგარეო სამხედრო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი თანხები სრულად არის გადანაწილებული წვრთნებისა და აღჭურვის პროგრამებზე და თავდაცვის ძალების შესაძლებლობების განვითარებას ხმარდება.

ქართულ-ოსური ურთიერთობები - დაიძაბა 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, იმის შემდეგ რაც 1985 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო საბჭოთა პოლიტიკური ლიბერალიზაციის ქმედებები, მიმდინარე მოვლენებმა კვლავ განაახლა ქართველებისა

და ოსების წინაძე საბჭოური ისტორია და რუსეთის იმპერიის ნგრევის დროინდელი დაპირისპირებები. საქართველოში გააქტიურდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გააქტიურდნენ სეპარატისტული მოძრაობები ცხინვალის ყოფილ ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ აფხაზეთის რესპუბლიკაში. 29 იანვარს 1989 წლის ქართველების ეროვნულ მობილიზაციას ოსებმა სახალხო ფრონტის შექმნით უპასუხეს. მხარეებს შორის ურთიერთობები დაიძაბა „ადამონ ნიხასის“ ლიდერის ალან ჩოჩიევის წერილის გამოქვეყნების შემდგომ, იგი ითხოვდა გაერთიანებას ჩრდილოეთ ოსეთის სსრ-ში და სამხრეთ ოსეთის გამოყოფას საქართველოს შემადგენლობიდან, ქართული მხარის მოთხოვნას ავტონომიის გაუქმება წარმოადგენდა დაპირისპირების პირველ გამოვლინებად იქცა ქართულ საზოგადებაში მიმდინარე დებატები ქართული ენის საკანონმდებლო სტატუსის შესახებ. 15 აგვისტოს 1989 წლის გამოიცა დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რის საფუძველზეც ჩამოალიბდა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი. ქართული ენა გამოყენებული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი სოციუმის ყველა ასპექტში, „ადამონ ნიხასმა“ აღნიშნული დოკუმენტი მიიჩნია ანტი-დემოკრატიულად, იმის გთვალისწინებით რომ ოსური მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცოდა ქართული ენა. დაიწყო სახალხო დემონსტრაციები. 14 სექტემბერს, სოფელ ერედვში ქართული მოსახლეობის ინიციატივით ჩატარდა მიტინგი, რომელსაც დაესწრო ქართლის თითქმის ყველა რაიონიდან წარმოგზავნილი დელეგაციები. მომიტინგეებმა პროტესტი გამოთქვეს ამჟამად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. გამოთქვეს თავისი მოსაზრებები „ადამონ ნიხასის“ მიერ ერთაშორისი შუღლის ჩამოგდების მცდელობისა და ოს მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილების გაღვივების შესახებ. აღნიშნულმა მიტინგმა ადამონ ნიხასის მძაფრი გულისწყრომა გამოიწვია. ასევე გულისწყრომით გამოხატავდა თავის აზრს შ/ს რაიონული განყოფილების პირველადი პარტორგნიზაციის მდივანი, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. გაგლოევმა, რომელმაც შეადგინა ერედვის მიტინგის თავისებური სტენოგრამა[1]. სამხრეთ ოსეთის მე-20 მოწვევის დროს 26 სექტემბერს

სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ საქართველოს უმაღლესი საბჭოს წინაშე წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრკ მოქმედ კონსტიტუციის 75-ე მუხლს დამატებოდა კიდევ ერთი შემდეგი პუნქტი: "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა". საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა მოთხოვნა ოსური ენის შესახებ კონსტიტუციურ შესწორებასთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა "კანონთა ომის" ფართო მაშტავით მასშტაბით დაწყება. 19 ოქტომბერს, სამაჩაბლოდან წავიდა ცხინვალის პედინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა დელეგაცია, რათა პატივი მიეგო მერაბ კოსტავას ხსოვნისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით მძაფრი რეაქცია ჰქონდა დეკანატის ზოგიერთ წარმომადგენელს, ადგილი ჰქონდა მუქარასაც 25 ოქტომბერს, ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულ დასს ჰქონდა სეზონის გახსნა. მაყურებისათვის უნდა წარედგინათ „მაია წყნეთელი", მაგრამ თეატრის დირექციამ არ შეუშვა ქართული დასი თეატრის შენობაში იმ მოტივით, რომ ვერ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას. ქართული დასის სპექტაკლები მუდმივად იშლებდა.26 ოქტომბერს, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა ოსური და რუსული ფაკულტეტების (ოსი ეროვნების) სტუდენტთა კრება. ქართველები დაითხოვეს დარბაზიდან. კრებას უძღვებოდნენ ლექტორები, „ადამონ ნიხასის" აქტიური წევრები: მ. ცხოვრებოვა და ა. ჯიოევა. კრებამ მოითხოვა: 1. ჩამოერთვას საქართველოს ისტორიის საათები ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებელს ალ. ურთქმელიძეს, რადგან იგი „სწორად" არ კითხულობს საქართველოს ისტორიის კურსს; 2. არ გვინდა საქართველოს ისტორიის სწავლა; 3. არ გვინდა ქართული ენის სწავლა; 4. პრორექტორობიდან განთავისუფლდეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქურდაძე (ინსტიტუტში ერთადერთი ქართველი, რომელსაც ეკავა თანამდებობა); 5. ყველას დავუმტკიცოთ, რომ ეს ტერიტორია სამაჩაბლო კი არა, ალანიაა; 6. სანამ არ დაკმაყოფილდება ყველა ეს მოთხოვნა, სწავლას არ დავიწყებთ26 ოქტომბერს, ცხინვალის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში, ცხინვალის რაიკომის მდივნის მ. ოსტაევას და „ადამონ ნიხასის" ერთ-ერთი ლიდერის ა. ჯიკაევის მეთაურობით ხალხი შეიჭრა, მათ ჩაშალეს სასწავლო

პროცესი და ტექნიკუმში ჩაატარეს კრება. ქართულმა მხარემ პროტესტის ნიშნად დატოვა ტექნიკუმის შენობა. კრებამ მიიღო გაფიცვის დადგენილება და ტექნიკუმის თავზე ააფრიალეს ფსევდოალანური დროშა 27 ოქტომბერს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეწყდა ქართული გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ გამოცემა, ოსი თანამშრომლების გაფიცვის გამო. 30 ოქტომბრიდან, სამაჩაბლოში შეწყვიტეს საქართველოს რადიოს გადაცემები, მის მაგივრად ჩართეს მოსკოვის რადიო 10 ნოემბერს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიამ გამოაცხადა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარდაქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკად. ამასთანავე მიიღო გადაწყვეტილება „ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ”, რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ცხადდებოდა ოსური ენა. გარდა ამისა, სესიამ მოუწოდა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და სსრკ უზენაეს საბჭოს განეხილათ სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლებისა და ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების საკითხი.16 ნოემბერს, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ აღნიშნული ქმედებები კანონთან შეუსაბამოდ მიიჩნია და გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. 23 ნოემბერს, პროტესტის ნიშნად თბილისიდან 15 000 ქართველი 400 ავტობუსით ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან ერთად ცხინვალისაკენ დაიძრა. აღნიშნული ქმედება ოსური მხარის მიერ აღქმული იქნა როგორც ძალის დემონსტრირება, რასაც დაუპირისპირა ოსი მეამბოხეები, საბჭოთა არმიის მე-8 ლეგიონის ჯარისკაცები და პოლიციელები, რომლებმაც გადაკეტეს ქალაქში შესასვლელი გზა. შეტაკებებს მოჰყვა პირველი მსხვერპლი. აღსანიშნავია, რომ 1990 წლიდან „ადამონ ნიხასის“ პოზიციებს შეუერთდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი პარტიული ნომენკლატურაც და გახდა მათი რადიკალური მოთხოვნების მხარდამჭერი და გამხმოვანებელი. 1990 წლის ზაფხულში, საპარლამენტო არჩევნების ჩატარების წინა პერიოდში ქართულ-ოსური ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა. 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის

ავტონომიური ოლქში სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მე-20 მოწვევის XIV სესიამ მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“. საბჭოს არ ჰქონდა მსგავსი გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია და ის ეწინააღმდეგებოდა სსრკ-ის კონსტიტუციას. 1990 წლის 21 სექტემბერს მიღებული დადგენილება გაუქმებულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. 16 ოქტომბერს ცხინვალში მოწვეული იქნა ავტონომიური ოლქის საბჭოს მე-15 სესია, რომელმაც კვლავაც დაადასტურა გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“, გარდა ამისა მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ პრაქტიკულად არ მიიღო მონაწილეობა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში. ქალაქ ცხინვალში ამომრჩევლების მხოლოდ 1,7 %-მა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. 1990 წლის 2 დეკემბერს ჩატარდა სამხრეთ ოსეთის აო-ს უზენაესი საბჭოს არჩევნები. ახალ არჩეულ საბჭოში ეთნიკურად ოსები დომინირებდნენ. 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ასევე მოხდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები. ამასთანავე გაბათილებულ იქნა და იურიდული ძალის არმქონედ გამოცხადდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის” უმაღლესი საბჭოს არჩევნები ასევე მისი მისი შედეგები. საბჭომ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა ჯავაში და ცხინვალსა, იმავე დღეს მოკლეს 2 ქართველი და მათი დამხმარე ოსი პოლიციელი, რის შემდეგადაც საქართველოს ხელმძღვანელობამ ცხინვალის და ჯავის რაიონებში გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, შემდეგ გააგზავნა შსს კურსანტი თანამშრომლები. 1991–1992 წლების ომი 1991 წლის 4 იანვარს სეპარატისტებმა სცემეს ქართველი პოლიციელი და პოლიციის განყოფილებას მოთხოვეს იარაღის ჩაბარება 24 საათის განმავლობაში. 5 იანვარს ცხინვალში შევიდა საქართველოს იმდროინდელი შსს-ს ჯგუფი, რომელშიდაც 3000- კაცი ითვლებოდა, რომელმაც სეპრატისტების შეარიღებულ ფორმირებებს მისცა ერთდღიანი ვადა იარაღის ჩასაბარებლად. 6 იანვარს ცხინვალში დაახლოებით

შუადღეს ოსებმა საქართველოს მაშინდელ მილიციას ცეცხლი გაუხსნეს და ცხინვალის და ჯავის რაიონში დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება, 7-ში მოხდა ცეცხლის შეწყვეტა 2 საათით, მაგრამ ოსებმა შეტაკებები კვლავ განახლეს, მაშინდელი შსს ქართულმა ნაწილმა დატოვა ჯავის რაიონი. ქართული მილიცია ძირითადად აკონტროლებდა ცხინვალის ცენტრს და შემოგარენში არსებულ ქართულ სოფლებს. ქართულმა მილიციამაც ნელნელა დაიწყო ცხინვალიდან გამოსვლა, რადგან მათ მხოლოდ ქალქის ცენტრის რამდენიმე შენობა ეჭირათ, ქართული მოსახლეობა კი უკვე გასული იყო ქალქიდან, პოზიციების შენარქჩუნება კი არახელსაყრელი იყო, რადგან ყველა მხრიდან ცეცხლში იყვნენ მოქცეულნი. 7 იანვარს, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს სსრ-ის მიერ შემოღებული საგანგებო მდგომარეობა. აგრეთვე გააკრიტიკა სეპარატისტებიც და ასევე გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შეცვლის გადაწყვეტილებაც. გორბაჩოვმა ასევე მოითხოვა ქართული და ოსური საჯარისო ნაწილების მთლიანი გაყვანა და რეგიონში მხოლოდ სსრკ-ს შინაგანი ჯარების დატოვებაა, რაც ქართულმა მხარემ საქართველოს სუვირენიტეტში ჩარევად აღიქვა და არ დამეორჩილა ამ გადაწყვეტილებას. 25 იანვარს, ქართული მხარე შეუთანხმდა ოსურ მხარეს, ცხინვალიდან დარჩენილი მილიციის თანამშრომლების (დაახლ. 400 ადამიანი) სრულად გაყვანაზე და ცეცხლის შეწყვეტაზე. ოსურ მხარეს კი უნდა გადაეცა მიტაცებული 60 ერთეული იარაღი. თუმცა ამის შემდგომ კონფლიქტი უფრო გაღმავდა, სადაც ადგილი ჰქონდა პერიოდულ შეტაკებებს. რუსულმა მხარემ დაიწყო მოხალისეების ჩამოყვანა ცხინვალში რეგიონში. ქართველების შეირაღებაში მაშინ ძირითადად შედიოდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და რამდენიმე ბრონირებული საბრძოლო მანქანა. 31 იანვარს, მოხდა ფართომასშტაბიანი შეტაკება ქართველ და ოს სეპარატისტებს შორის ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში. ამის შემდგომ, აპრილის დასაწყისამდე მხარეების პოზიციები ძირითადად არ შეცვლილა. მცირე შეტაკებები ხდებოდა ცხინვალის რაიონის სოფლებში, ხოლო მარტიდან — ზნაურის რაიონშიც. გაჩნდა 100 000-ზე მეტ იძულებით გადაადგილებული პირი. 1991

წლის მარტში ზვიად გამსახურდიამ და ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს „ყაზბეგის პროტოკოლს“, რომელიც ითვალისწინებდა არალეგალური ჯგუფების განიარაღებას სამხრეთ ოსეთში და ერთობლივი ქართულ-რუსული სამხედრო ძალების შეყვანას რეგიონში.1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ კვლავ მოუწოდა სსრკ-ის ხელმღვანელობას სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების შესახებ. 1992 წლის იანვარში სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა რეფერენდუმი, რომელმაც დაადასტურა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების მოთხოვნა. საქართველოს ხელისუფლებამ დააპატიმრა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტი ტორეზ

კულუმბეგოვი. 20 მაისს, ჯავა-ცხინვალის დამაკავშირებელ მონაკვეთზე სოფელ ძარის გზაზე მოხდა ტრაგედია, რომლის დროსაც სატვირთო ავტომობილში დაუდგენელი შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ჩაიცხრილა ჩრდილოეთ ოსეთში მიმავალი ეთნიკური ოსი მშვიდობიანი მოსახლეობა. ტრაგედიას 33 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის, ქალები და ბავშვები, 16 ადამიანი კი, დაშავდა. 1992 წლის 19 იანვარს ჩატარდა უკანონო რეფერენდუმი, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობის 92 %-მა დაუჭირა მხარი გაერთიანებას ჩრდილოეთ ოსეთთან. 1992 წლის ზამთარში საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ გაათავისუფლა დაპატიმრებული კულუმბეგოვი. 1992 წლის მაისში სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

2.1 ომის შეწყვეტა და მოლაპარაკებები

საქართველოსთვის, გარდაუვალი აღმოჩნდა კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის ჩართვა. 1992 წლის 24 ივნისს, სოჭში რუსეთისა და საქართველოს ლიდერები შეიკრიბნენ, ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას. ომმა საკმაოდ მძიმე შედეგები მოიტანა ორივე მხარეს, დაიღუპა 600-მდე ადამიანი, განადგურდა

საცხოვრებელი სახლები-ინფრასტრუქტურა, 65 ათასი ადამიანი გახდა იძულებით გადაადგილებული პირი. (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2021)[10]



1

ცხინვალის რეგიონის რუკა 1

ცხინვალის რეგიონის რუკა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ

დაგომისის ხელშეკრულების საფუძველზე მხარეებს შორის შეწყდა საბრძოლო მოქმედებები. ამასთანავე, შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია — ოთხმხრივი ორგანო საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მონაწილეობითა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ჩართულობით. კომისიას დაევალა ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების მეთვალყურეობა, კონფლიქტის მოგვარების გზების შექმნა და განხორციელება, დიალოგის ხელშეწყობა, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთარ სახლებში დაბრუნების უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა და ეკონომიკურ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული

[10] სიმართლე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ - დავით ბატაშვილი - გვ.2

https://civil.ge/ka/archives/317771

(ბოლოს გადამოწმებულია 05/06/2021)

პრობლემების მოგვარება. დოკუმენტის საფუძველზე ასევე შეიქმნა გაერთიანებული სამშვიდობო ძალები – ქართველების, რუსებისა და ოსების მონაწილეობით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მშვიდობის აღდგენა, წესრიგისა და სამართლიანობის შენარჩუნება კონფლიქტის ზონაში.

1993 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ შეიმუშავა კონსტიტუცია. 1993–2000 წლებში სიტუაციის დარეგულირებისა და მხარეებს შორის ურთიერობების დათბობის და გამყარების მიზნით ბევრი სხვადასხვა შეხვედრა გაიმართა და არაერთ შეთანხმებასა და მემორანდუმს მოეწერა ხელი. მიუხედავად ამისა, ვითარება კვლავ მოუგვარებელი და დაძაბული იყო, არ სრულდებოდა მხერეებს მიერ ნაკისრი ვალდებულებები, ხდებოდა შეიარაღებული თავდასხმები, სიტუაცია კი კონტროლს არ ექვემდებარებოდა, ხდებოდა აურაცხელი დანაშაულებები, როემსაც მაშინდელი შსს ვერ იკვლევდა და არ ხდებოდა დამნაშავეტა დასჯა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმედის მომცემი იყო ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის გახშირებული შეხვედრები: 1996 წელს ვლადიკავკაზში, 1997 წელს ჯავაში, 1998 წელს ბორჯომში, რომელთა დროსაც გამოიკვეთა პოზიტიური დინამიკა. მხარეები საუბრობდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დევნილთა დაბრუნება, რეგიონის ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის დაცვა და მათი ზრუნვა, კრიმინოგელური ვითარების შემსუბუქება და ა.შ.

1996 წელს აშენდა ერგნეთის ბაზრობა, თავდაპირველად ქართული მხარის მიერ ხალხის დაახლოებისა და ნდობის აღდგენის საუკეთესო მექანიზმად აღიქმებოდა. ქართულ–ოსური ურთიერთობების ნეგატიური შემობრუნება დაიწყო რაც სამხრეთ ოსეთში დე–ფაქტო პრეზიდენტად ედუარდ კოკოითი აირჩიეს. ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ოფიციალურმა განცხადებამ ნატოში გაწევრიანების თაობაზე.[11]

[11] საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია „ანგარიში“ სექტემბერი, 2009 - ტომი I , გვ 39

2.2 კონფლიქტის შემდგომი განვითარება ვარდების რევოლუცია

ვარდების რევოლუციით ქვეყნის სათავეში მოსულმა მიხეილ სააკაშვილმა და აჭარის სიტუაციის წარმატებით დასრულების შემდეგ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით დაიწყო სწრაფი რეაგირება, მის მთავარ სამიზნეს კოკოითის დე-ფაქტო რეჟიმი წარმოადგენდა, რომელიც კონტრაბანდით დიდძალ თანხებს იღებდა და ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი პოზიტივით არ სარგებლობდა. ერგნეთის ბაზრობის ირგვლივ არსებული სიტუაცია საგანგაშო და საქართველოს უსაფრთხოებისათვის რისკების შემცველი იყო. აღნიშნული ფაქტორების ზემიწევნით შესწავლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის ბრძანების საფუძველზე პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების მიერ დაიხურა ბაზარი, რასაც მოჰყვა რეაქციები ოსური მხარისაგან. ივლისის ბოლოს დაიწყო დაპირისპირება ქართულ სამშვიდობო ძალებსა და ოს პოლიციელებს შორის, მათ დახმარებას უწევდა რუსეთის სამხედროები, რომლებიც უნიფორმებს არ ატარებდნენ.

რეგიონში ვითარება ძალზედ გაუარესდა 10–11 აგვისტოს, როდესაც ცხინვალის ნაწილში, ქართულ და ოსურ სოფლებში ცეცხლი გაიხსნა და დაშავდა მშვიდობიანი მოსახლეობა. კონფლიქტში ასევე ჩართულნი აღმოჩდნენ სამშვიდობო ძალების შემადგენელი ქართული და ოსური ძალები. 13 აგვისტოს საქართველოს პრემიერ მინისტრი ზურაბ ჟვანია და სამხრეთ ოსეთის დე–ფაქტო პრეზიდენტი კოკოითი შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, 17 აგვისტოს სამშვიდობო კომისიის საგანგებო სხდომებზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები დემილიტარიზაციის პროექტებზე. ორივე მხარისათვის ნათელი იყო, რომ ზავი დროებითი იყო და ბრძოლა შეიძლებოდა ნებისმიერ დროს განახლებულიყო. აგვისტოს 20 ში ხელი მოეწერა ცეცხლის შეყწვეტის ხელშეკრულებას.

2.3 სამშვიდობო ინიციატივები

2004 წლის 22 სექტმებერს გაეროს 59–ე გენერალური ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა წარადგინა კონფლიქტების გადაწყვეტის გეგმა, რომელიც ნდობის აღდგენის პარალელურად მოიცავდა რეგიონის დეკრიმინალიზაციას, დემილიტარიზაციას და უსაფრთხოების ფართო გარანტიებს. 2005 წლის იანვარში სააკაშვილმა სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან გაახმოვანა ინიციატივები ქართულ–ოსური კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე. საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული გეგმის მთავარ მიზანს ქვეყნის მშვიდობიანი გამთლიანება წარმოადგენდა და ითვალისწინებდა ფართო ავტონომიას, ოსური ენის ოფიციალურ სტატუსს. ასევე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო ერთობლივი, შერეული ქართულ–ოსური პოლიციური ქვედანაყოფის შექმნა. 2005 წლის ივლისში კი მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ თბილისი მზად იყო სამხრეთ ოსეთისათვის მიეცა ფართო ავტონომია და პრივილეგირებული საგადახადო და ეკონომიკური რეჟიმი. რეგიონს ექნებოდა პარლამენტის არჩევის უფლება, დაწესდებოდა ოსეთის კვოტა საქართველოს პარლამენტში. 2005 წლის დეკემბერში გამართულ ეუთოს ლიუბლიანას მინისტერიალზე კი გამოცხადდა საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმის უფრო კონკრეტული და დროში გაწერილი ვერსია.

რუსეთით ზურგგამაგრებულმა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკამ ამ შეთავაზებებზე უარი თქვა.[12]

არჩევნები სამხრეთ ოსეთში - 2006 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთში გაიმართა სახალხო რეფერენდუმი, რომელმაც კვლავ დაადასტურა რეგიონის „დამოუკიდებლობა“ საქართველოსგან. ამასთანავე ჩატარადა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც ხმების 96 %-ით პრეზიდენტად კვლავაც არჩეულ იქნა ედუარდ კოკოითი. დე-ფაქტო პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად ქართულ და ოსურ სოფლებში ჩატარდა “ალტერნატიული არჩევნები”, რომელიც სამხრეთ ოსეთის „ხსნის კავშირის“ მიერ იყო

[12] ჯონსი, 2013, გვ. 82

ორგანიზებული. სეპარატისტების მიერ არკონტროლირდებად ტერიტორიებზე ხმების 80,25 % დიმიტრი სანაკოევმა მიიღო და პრეზიდენტად სწორედ ის დასახელდა. მისი საარჩევნო პროგრამა მხარს უჭერდა საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსის აღდგენასა და ეკონომიკური პროგრამის შემუშავებას. დეკემბერში დიმიტრი სანაკოევმა შექმნა მთავრობა, რომელიც სოფელ ქურთაში განლაგდა. 2007 წლის 10 მაისს სანაკოევი საქართველოს პრეზიდენტის მიერ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნა. დიმიტრი სანაკოევმა მეორე დღესვე ოსურად მიმართა საქართველოს პარლამენტს და კონფლიქტის მოგვარების გეგმა წარუდგინა. განვითარებული მოვლენებით შეშფოთებულმა დე-ფაქტო ხელისუფლებამ ქართულ სოფლებში სატრანსპორტო გზების ბლოკირების ბრძანება გასცა, სანაკოევის მთავრობას კი გაძევებით დაემუქრა.

2.4 2008 წლის მოვლენები - შტატების ჩართულობა.

2008 წლის გაზაფხულზე დაძაბულობამ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის უმაღლეს ხარისხს მიაღწია. 6 მარტს რუსეთმა დაარღვია დსთ–ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება "აფხაზეთში/საქართველო კონფლიქტის დარეგულირების შესახებ" და აფხაზეთს დაწესებული ეკონომიკური სანქციები მოუხსნა. ქართულმა მხარემ რუსეთის ამგვარ ქმედება აფხაზეთის სრული მილიტარიზაციის დაწყებად გამოაცხადა. მომდევნო თვეების განმავლობაში ქართულ–რუსული ურთიერთობები კანონებისა და ურთიერთბრალდებების შემცველი განცხადებების საინფორმაციო ომში გადაიზარდა. 21 მარტს რუსეთის დუმამ აღმასრულებელ ხელისუფლებას რეკომენდაცია მისცა ეღიარებინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. ქართულ–რუსული დაპირისპირების პარალელურად სიტუაცია დღითიდღე მძიმდებოდა კონფლიქტის ზონებში, იღუპებოდნენ მშვიდობისმყოფელები, პოლიციელები და სამოქალაქო პირები. ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა 3 ივლისს, ოსური სოფლის დმენისის პოლიციის უფროსის ნოდარ ბიბილოვის აფეთქების შემდგომ. მომხდარ ფაქტში ოსურმა მხარემ საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა. იმავე დღეს ნაღმზე აფეთქდა სამხრეთ

ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსის სანაკოევის მანქანა, თავად სანაკოევი უვნებლად გადარჩა. მომხდარი ქართულმა მხარემ ტერორისტულ აქტად შეაფასა. 2008 წლის 8 ივლისს რუსეთის ოთხმა სამხედრო თვითმფრინავმა კიდევ ერთხელ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. ქართულმა მხარემ აღნიშნულ ქმედების საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევა უწოდა და საქართველოს ელჩი რუსეთში "კონსულტაციებისათვის" გამოიწვია. დაძაბულობის განმუხტვის მიზნით საქართველოს აშშ–ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ესტუმრა.

2008 წლის ივლისში რუსეთმა ჩაატარა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები კოდური სახელწოდებით "კავკასია 2018". წვრთნები ჩატარდა უშუალოდ საქართველო–რუსეთის საზღვართან და მასში მონაწილეობდა 8000-ზე მეტი ჯარისკაცი. რუსული წვრთნების პარალელურად საქართველოშიც დაიწყო ერთობლივი წვრთნები კოდური სახელწოდებით "დაუყოვნებელი პასუხი 2008", რომელშიც ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ ამერიკული, სომხური, აზერბაიჯანული და უკრაინული ძალები.[13]

აგვისტოს ომი

2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში დაიწყო ომი სამხრეთ ოსეთმა საქართველო დაადანაშაულა აგრესიაში ცხინვალის წინააღმდეგ. საქართველო აცხადებდა, რომ ინტენსიურად იბომბებოდა სოფლები კონფლიქტურ ზონაში. იმავე საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა

ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და სამხრეთ ოსეთსაც მოუწოდა იგივე ქმედებისაკენ. ასევე მოლაპარაკებების განახლებისაკენ და კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაადასტურა, რომ სამხრეთ ოსეთი ისარგებლებდა ავტონომიით საქართველოს შემადგენლობაში. ქართული მხარის განცხადებით სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები არ წყვეტდნენ თავდასხმას სოფლებზე და აძლიერებდნენ სახმელეთო ძალებს. აღნიშნული ქმედებებით კი საქართველოს „აიძულებედნენ" დაერღვია ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე აღებული პასუხისმგებლობა 8 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა

დიმიტრი მედვედევმა გამართა რუსეთის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც დაგმო საქართველოს ქმედებები. მათი განცხადებით, რუსეთი იყო და მომავალშიც იქნება მშვიდობის გარანტი კავკასიაში. 8 აგვისტოს როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოვიდა რუსული სამხედრო ძალა და ტექნიკა. 9 აგვისტოს თავდაპირველად საქართველოს პრეზიდენტმა შემდგომ, პარლამენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. იმავე დღეს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უკან დახია 12 აგვისტოს, საფრანგეთის პრეზდენტის ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით ხელმოწერილ იქნა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ომი დასრულდა. 6 პუნქტიანი გეგმის თანახმად კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს უნდა შეეწყვიტა საბრძოლო ქმედებები და დაებრუნებინა სამხედრო ძალები დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე. გეგმა ითვალისწინებდა ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფას და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დაბრუნების პროცესის გამარტივებას და მათ დახმარებას საკუთარ სახლებში დაბრუნებაში. ასევე საერთაშორისო დისკუსიების დაწყებას აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესახებ.[14]

თავი III. აზერბაიჯან- ამერიკის შეერთებული შტატების შორის პოლიტიკური ურთიერთობები

3.1 აზერბაიჯანის პოლიტიკური გამოწვევები

1991 წლის 18 ოქტომბერს აზერბაიჯანის მთავრობამ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ამის შემდგომ, 1991 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობა და შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად აღიარა 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, მათ შორის აზერბაიჯანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო.1992 წლის 6 მარტს აზერბაიჯანმა გახსნა საელჩო ვაშინგტონში, ხოლო 1992 წლის 16 მარტს

[14] აგვისტოს ნანგრევებში - არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადამიანის უფლებათა ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ. 2010წ გვ. 30

შეერთებულმა შტატებმა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში.[2005 წელს ბარაკ ობამა სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა აზერბაიჯანში აშშ-ს სენატორ რიჩარდ ლუგართან ერთად. 2009 წლის სექტემბერში ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე გამართულ კონფერენციაზე გამოსვლისას, სახელმწიფო საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უილიამ ჯოზეფ ბერნსმა გამოთქვა შეერთებული შტატებისთვის საინტერესო სამი ძირითადი სფერო აზერბაიჯანთან ორმხრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ესენი იყო: უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობა, ენერგეტიკა და ეკონომიკურ-დემოკრატიული რეფორმები.

აშშ-აზერბაიჯანული კავშირები ეკონომიკურ სფეროში, ძირითადად, განვითარდა კასპიის ენერგო რესურსებისა და მათი დასავლეთ ბაზრებზე მიმართვის თვალსაზრისით. აშშ-ს კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ კასპიის ნახშირწყალბადების გადამუშავებაში, აზერბაიჯანული ოფშორული ნავთობპროექტებში, ხოლო აშშ-ს მთავრობამ აქტიურად დაუჭირა მხარი ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას, როგორც კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების პირველად მარშრუტს.2008 წლის იანვარში კომენტარი გააკეთა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა აზერბაიჯანში ვიზიტის შესახებ, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა ჯონ ც.კ.-მ ყოველდღიურმა საგაზეთო გამოცემა „UPI“-მ აზერბაიჯანს უწოდა „დარჩენილი მეგობარი, რომელიც ამერიკას კასპიის აუზთან ჰყავს“.1995 წელს შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა ორმხრივ სავაჭრო ხელშეკრულებას აზერბაიჯანთან. ხელი ასევე მოეწერა ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებას, რომელიც მას ბენეფიციარ ქვეყანას უწოდებს პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის („GSP“-ის) პროგრამით. აშშ ასევე მხარს უჭერს აზერბაიჯანის განაცხადს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით.

აზერბაიჯანი არის წევრი საერთაშორისო ორგანიზაციებში.აზერბაიჯანი და შეერთებული შტატები აერთიანებენ არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის გაეროს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას,

საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს. აზერბაიჯანი ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამკვირვებელია. აზერბაიჯანი ასევე მონაწილეობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში.[15]

3.2 მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე ძლიერი გავლენა მოახდინა აშშ-ს ოფიციალურმა პოზიციამ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. აშშ აქტიურად იყო ჩაბმული კონფლიქტის მოგვარებაში 1992 წლიდან. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (CSCE; დღეს ეუთო ეწოდება) მისიის ფარგლებში. საბოლოოდ იქნა მიღებული შედეგი კონფლიქტური მხარეების წარმომადგენლობა ეუთოს მინსკის ჯგუფის მოლაპარაკების ფორმატში. [16]

3.3 აშშ-ის პოლიტიკა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ

აშშ, როგორც ეუთო-ს „მინსკის ჯგუფის“ თანათავმჯდომარე ქვეყანა, გასული 30 წლის მანძილზე აქტიურად იყო ჩართული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის პროცესში, რაც მათ შორის ითვალისწინებდა ორი დაპირისპირებული ქვეყნის ლიდერისთვის ცალკეული სამშვიდობო ინიციატივების შეთავაზებას და სრულმასშტაბიანი კონფლიქტის თავიდან არიდების პრევენციას. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი

---

[15] James P. Nichol. *Diplomacy in the Former Soviet Republics*, Praeger/Greenwood, 1995, p. 150

[16] მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა კავკასიის რეგიონისთვის -ავტორი: სანდრო სამადბეგიშვილი გვ.56
https://www.geocase.ge/media/938/მთიანი-ყარაბაღის-კონფლიქტის-შუალედური-დასასრული_ს.-სამადბეგიშვილი.pdf
(ბოლოს გადამოწმებულია 05/06/2021)

აღიარებდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და აქტიურად თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის და ენერგოუსაფრთხოების საკითხებში, რეალურად აშშ ყოველთვის აცნობიერებდა ამ კონკრეტულ საკითხში საკუთარ შეზღუდულ როლს რუსეთის ძლიერ პოზიციებთან შედარებით, აშშ ხვდებოდა იმას, რომ რუსეთის გავლენები მეტი იყო ვიდრე მათდამი ინტერესი აზერბაიჯანის მხრიდან.

მთიანი ყარაბაღის მეორე ომის დროს, აღნიშნული პოზიციების შემცირება კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, რადგან აშშ-მა, პრეზიდენტ ტრამპის ფართო საზოგადოებისთვის აშკარად დაგვიანებული რეაქციის გარდა, რეალურად ვერ შეძლო მეომარ მხარეებზე ზეგავლენის მოხდენა. ამის დასტური იყო აშშ-ის ორგანიზებით ქ. ვაშინგტონში შეხვედრები აზერბაიჯანის და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, რომელიც მხოლოდ დოკუმენტში გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დასრულდა და რეალური შედეგი არ დადგა. ამასთან, უხერხული ვითარება შეიქმნა აშშ-ის მიერ სკანდინავიელი სამშვიდობო ძალების განთავსების ინიციატივის გაჟღერების შემდეგ, რადგან ამ წინადადებას მხარი არავინ დაუჭირა და პრაქტიკულად სრულად დაიგნორდა.

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებაში აშშ-ის საკმაოდ ურთულდება საკუთარი ადგილის მოძებნა, რადგან რეგიონის წამყვან მოთამაშეობაზე პრეტენზია ღიად განაცხადა თურქეთმაც, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ნაკლებად იზიარებს აშშ-ის ინტერესებს და მოთხოვნებს. აღნიშნულის უკეთ დასანახად გამოდგება პრეზიდენტ ი. ალიევის შეხვედრა „მინსკის ჯგუფის“ თანათავმჯდომარე ქვეყნების ელჩებთან 2020წ. ნოემბერში, როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა შუამავლი ქვეყნის საქმიანობა და არაორაზროვნად მიუთითა, რომ მოცემულ ვითარებაში გადამწყვეტი სიტყვა ანკარას, ბაქოს და მოსწკოვს ეკუთვნის.

აშშ ღიად აცხადებს, რომ მიესალმება კონფლიქტის დასრულებას და რეგიონულ წესრიგს ასევე აფიქსირებს, რომ მთიანი ყარაბაღის საბოლოო სამართლებრივი სტატუსი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებების გზით. ეს გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის აზერბაიჯანის პოზიციასთან, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასრულებულად მიიჩნევს და ემზადება რუსი სამშვიდობო ძალების მიერ დაცული ნაწილის ახლო საბრძოლო ჩართულობისთვის, რამაც საბოლოოდ ასახვა ჰპოვა, რომელსაც დანარჩენ თავებში შევეხებით დეტალურად.

მთიანი ყარაბაღის ომი — შეიარაღებული კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სადავო მთიანი ყარაბაღის რეგიონში. შეტაკებები დაიწყო 2020 წლის 27 სექტემბრის დილას მთიანი ყარაბაღის ხაზის გასწვრივ, რომელიც დამყარდა მთიანი ყარაბაღის 1988–1994 წლების ომის შემდეგ. შეტაკებების საპასუხოდ, სომხეთმა და არცახმა მობილიზაცია და საომარი მდგომარეობა შემოიღეს. [17]

აზერბაიჯანმა სრული მობილიზაცია გამოაცხადა. კონფლიქტის დროს გამოიყენებოდა სამხერო ავიაცია, დრონები, შორ მანძილზე მსროლელი მძიმე არტილერია და ბალისტიკური რაკეტები, ორივე მხარე კიბერ ომს ძალიან კარგად იყენებდა და ცდილობდა დესტაბილიზაციის შეტანას ქვეყნის შიდა სტრუქტურებში. გაერომ მკაცრად დაგმო კონფლიქტი და ორივე მხარეს მოუწოდა დაძაბულობის დეესკალაციისკენ და მნიშვნელოვანი მოლაპარაკებებისკენ. საერთაშორისო ანალიტიკოსთა აზრით, საბრძოლო მოქმედებები, სავარაუდოდ, დაიწყო აზერბაიჯანის შეტევით. მხარეები მოსკოვში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, რომელიც ძალაში 10 ოქტომბერს შევიდა. ხელშეკრულება რამდენჯერმე დაირღვა.,

[17] ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი - ბექა რობახიძე 04 ოქტომბერი, 2020 გვ.10
https://publika.ge/article/yarabaghis-konfliqti-warsuli-awmyo-momavali/ (ბოლოს გადამოწმებულია 20/06/2021)

შეჩერდა გარდაცვლილთა გეგმიური დაბრუნებისა და დაჭრილთა და პატიმართა გაცვლის პროცესები. ორივე მხრიდან დაღუპულთა რიცხვი ათასამდე მერყეობს. რუსულ-თურქული გეოპოლიტიკური დინამიკისა და მილსადენის პოლიტიკის გამო არსებობს ფართო რეგიონულ კონფლიქტად გადაზრდის საშიშროებაც.

მთიანი ყარაბაღი კონფლიქტური რეგიონია დამოუკიდებლობის აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღიდა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო, რომელიც ადმინისტრაციულად აზერბაიჯანს ეკუთვნის, თუმცა მეტწილად სომეხი ეთნიკური ჯგუფებითაა დასახლებული. ეს რეგიონი აზერბაიჯანის დე იურე ნაწილია, მაგრამ ფაქტობრივად იმართება თვითგამოცხადებული არცახის რესპუბლიკის მიერ, რომელსაც მხარს უჭერს სომხეთი.ეთნიკური ძალადობა თავდაპირველად დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და სრულ ომში გადაიზარდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ, 1991 წელს. მთიანი ყარაბაღის ომის შედეგად 760 00 აზერბაიჯანელი და 355 000 სომეხი გადასახლდა აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. ომი 1994 წელს დასრულდა. 30 წლის განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ბევრჯერ დაირღვა, მიმდინარე კონფლიქტამდე ინციდენტები ხდებოდა მთიანი ყარაბაღის ტერეტორიაზე .მიუხედავად იმისა, გაუგებარია, თუ როგორ სურთ ტერიტორიის განაწილება ამ რეგიონის ამჟამინდელ მცხოვრებლებს, გამოკითხვების ცხადყოფს, რომ მათ არ სურთ აზერბაიჯანის შემადგენლობაში ყოფნა, რადგან ეთნიკურად სომხებითაა დასახლებული. 2019 წელს სომხეთის პრემიერ- მინისტრი, ნიკოლ ფაშინიანი რეგიონს ესტუმრა და განაცხადა: „არცახი სომხეთია, წერტილი“. ცეცხლის გახსნა მოხდა აზერბაიჯანს და სომხეთის შორის საზღვარზე 2020 წლის 12 ივლისს. ასობით და ათასობით აზერბაიჯანელმა საპროტესტო აქცია გამართა სომხეთის წინააღმდეგ ისინი მოითხოვდნენ ომის დაწყებას და ტერეტორიების დაბრუნებას. რამდენიმე წლის განმავლობაში ეთნიკური ზიზღი პიკს აღწევდა, აზერბაიჯანელი ხალხი სომხების მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი და პირიქით. რასაც ცხადყოფს საქაართველოში მომხდარი დაპირისპირებებიც. 2020 წლის აგვისტოდან სომხეთმა და აზერბაიჯანმა სამხედრო წვრთნები დაიწყეს. მალევე გაჩნდა ბრალდებები, რომ ასობით სირიელი

შეიყვანეს აზერბაიჯანში. ამ პერიოდში ერდოღანთან დაახლოებული თურქული მედია აცხადებდა, რომ ერაყიდან და სირიიდან ჯარისჯაცები მთიან ყარაბაღში სომხების დასახმარებლად გადავიდნენ. როგორც აზერბაიჯანის, ასევე სომხეთის მთავრობები უარყოფენ ბრალს უცხოელი მებრძოლების დახმარების შესახებ.

რუსეთის ჩართულობას რომელსაც ყველა ასე ელოდა 10 ოქტომბრის განაცხადა, რომ სომხეთი და აზერბაიჯანიც შეთანხმდნენ ჰუმანიტარული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოსკოვში მოლაპარაკებები 12 საათი გრძელდებოდა და ოფიციალურად შეჩერდა საომარი მოქმედებები პატიმრებისა და გარდაცვლილების გაცვლის პირობით, რასაც წითელი ჯვარი უწყობდა ხელს. მაგრამ როგორც ხდება, ცეცხლის შეწყვეტის დარღვევა მუდმივად გრძელდებოდა ორივე მხარის მიმართულებით, იყო დივერსიები, და ერთმანეთზე დაბრალებები, როგორც ომს ჩვევია.

ქვეყნებმა ერთმანეთი დაადანაშაულეს ცეცხლის შეწყვეტის დაწყებამდე სამოქალაქო დასახლებების დაბომბვაში. ამასთან, მეორე მხარის დაბომბვას ორივე ქვეყანა უარყოფს. თითოეულმა მხარემ მოწინააღმდეგე დაადანაშაულა ცეცხლის შეწყვეტის პირობების დარღვევაში. ამის შემდეგ მალევე მოხდა შეტაკებები, ძლიერი ბრძოლები ჰადრუთში და დაბომბვები. აზერბაიჯანმა უფრო დიდი ტერიტორია დაიკავა. დაახლოებით 23:00 საათზე, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ სომხური ჯარები ბომბავდნენ ტარტარს. ხოლო სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ჯარები ბომბავდნენ სტეპანაკერტს.

1 და 17 ოქტომბერს სომხურმა მხარემ ბალისტიკური რაკეტები გაუშვა აზერბაიჯანის ქალაქ განჯას მიმართულებით, რასაც მშვიდობიანი ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ძალებმა სომხებს სამაგიერო გადაუხადეს ფუზულისა და მიმდებარე სოფლების დაკავებით, ალიევმა ასევე მოითხოვა კონფლიქტში საერთაშორისო საზოგადოების დაუყოვნებლივ ჩარევა.

შუაღამისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გამოაქვეყნა ხელშეკრულების ტექსტი, რომლის მიხედვითაც საომარი მოქმედებები შეწყდება 10 ნოემბრის 00:00 საათიდან;

[18]აღდამის რაიონის ოკუპირებული ტერიტორია აზერბაიჯანს დაუბრუნდება 2020 წლის 20 ნოემბრამდე; სომხეთი ჯარს გაიყვანს ქალბაჯარის რაიონიდან 15 ნოემბრამდე, ხოლო ლაჩინიდან — 1 დეკემბრამდე; 5 წლის განმავლობაში რუსი სამშვიდობოები განლაგდნენ მთიანი ყარაბაღისა და ლაჩინის დერეფნის საკონტაქტო ხაზის გასწვრივ; იქმნება სამშვიდობო ცენტრი ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის მიზნით; უზრუნველყოფილი იქნება კავშირი მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის; იძულებით გადაადგილებული პირები დაუბრუნდებიან ოკუპაციისგან განთავისუფლებულ ტერიტორიებს; განხორციელდება ტყვეთა და მიცვალებულთა გაცვლა. გვიან ღამით სომხეთის პრემიერ-მინისტრმა თავის ფეისბუქ გვერდზე დაწერა, რომ მან, რუსეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს განცხადებას მთიანი ყარაბაღის ომის დასრულების შესახებ 01:00 საათიდან (მოსკოვის დროით 00:00 საათიდან)ფაშინიანის განცხადებას მოჰყვა პუტინის დაზუსტება იმის შესახებ, რომ რუსი სამშვიდობოები განლაგდნენ კონტაქტის ხაზზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებამ გამოიწვია ხალხის მწვავე არეულობა ერევანში, მომიტინგეები გაემართნენ საპრეზიდენტო სასახლისკენ, სომხეთის სამხედროებისთვის ძალაუფლების გადაცემის მოთხოვნითდილით რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დაახლოებით 2 000 რუსი მშვიდობისმყოფელი გაიგზავნა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში იმავდროულად, არცახის თავდაცვის არმია იტყობინება, რომ აზერბაიჯანული ჯარები ასრულებდნენ საარტილერიო და სარაკეტო დარტყმებს ფრონტის ხაზის ყველა მთავარი მიმართულებით, სამიზნე იყო ასევე სამოქალაქო დასახლებები

კონფლიქტი დღემდე მიმდინარეობს, ტყვეების გაცვლაში საქართველოც ჩართულია, აღსაღნიშნავია შტატების პოზიცია შესუსტებულია ხსენებული

[18] Azerbaijan, Armenia sign peace deal to end conflict – 10/11/2020 გვ.2

https://www.gulftoday.ae/news/2020/11/10/armenia-azerbaijan-and-russia-sign-nagorno-karabakh-peace-deal

(ბოლოს გადამოწმებულია 06/04/2021)

კონფლიქტის წინაშე, ბაიდენის ადმინისტრაცია ღიად არ აფიქსირებს მხარდაჭერას აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების მიმართ, ნეიტრალური პოზიციის დამყარებას ცდილობს, აზერბაიჯანი შტატებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს შესრულდეს ხელშეკრულების პირობები, ასევე მკაფიო ნაბიჯები გადადგან კონფლიქტის მოსაგვარებლად.

3.4 აზერბაიჯანი თანამედროვე პერიოდში

გვჯერა, რომ სომხეთის ხელისუფლება შექმნილი კრიზისიდან, მისი მიზეზის გაანალიზების გზით, სწორ დასკვნებს გამოიტანს, - ამის შესახებ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიჰუნ ბაირამოვმა სომხეთში ჩატარებული ვადამდელი არჩევნების კომენტირებისას განაცხადა. მისი თქმით, სომხეთში „ღრმა კრიზისის“ მიზეზი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების სომხეთის მიერ ძალის გამოყენებით დარღვევაა. „მოგეხსენებათ, 21.06.2021 წელს სომხეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. მოსალოდნელია მთავრობის ფორმირება. ჩვენ გვჯერა, რომ ამ პროცესების შედეგად, სომხეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გამოიტანს სწორ, რეალურ დასკვნებს შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან. ამ კრიზისის ფესვები ღრმაა და მიზეზი არის სომხეთის მიერ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ძალადობრივი გზით დარღვევა და აგრესიული პოლიტიკის გატარება”, - განაცხადა ბაირამოვმა. აზერბაიჯანის მხარე ომის შემდეგ ცდილობს მოლაპარაკების ფორმატში გადასვლას რაზეც პოლიტიკოსებს განცხადებები მეტყველებს, ისინი ცდილობენ მოლაპარაკებებით მიიღონ მაქსიმუმი და შეეცადონ მოლაპარაკების მაგიდაზე გადაიყვანონ სომეხი პოლიტიკოსები, რომელთა ფორმირებაც არჩევნების შემდეგ ახლა ხდება. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო შეთანხმების გაფორმება მნიშვნელოვანია, - აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიჰუნ ბაირამოვმა ხორვატ კოლეგა გორდან გრლიჩ რადმანთან „ანტალიის დიპლომატიური ფორუმის“

ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. პოლიტიკოსების განცხადებები და [19] ოფიციალური ბაქო სომეხ პოლიტიკოსებს მოლაპარაკების მაგიდასთან იწვევს, სომხეთის ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ომი და პანდემია განვითარებად ქვეყანას ძალიან მძიმე რეალობის წინაშე აყენებს. არის საშიშროება, რომ ახალი მთავრობა, ფაშინიანის ლიდერობით რუსეთისკენ გადაიხაროს, რადგან მას სხვა ალტერნატივა არ რჩება, თუ ევროკავშირის და აშშ ჩართულობა დაუყონებლივ არმოხდა. თურქეთთან მოლაპარაკებების შემდგომ აზერბაიჯანმა მიაღწია შემდეგს, მან თურქეთის პრეზიდენტ ეროღანთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რითიც აზერბაიჯანმა მსოფლიოს და კერძოდ რუსეთს ამცნო, რომ სომხეთის დასახმარებლად გაწვდილი ხელი, თურქეთის გაღიზიანებას გამოიწვევს და მათ შორის ურთიერთობებს საზიანოს გახდის. აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ილჰამ ალიევმა და რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ქალაქ შუშაში ხელი მოაწერეს დეკლარაციას სამოკავშირო ურთიერთობების შესახებ. 15.06.2021 „ეს დეკლარაცია წამოწევს ჩვენ ურთიერთობებს ყველაზე მაღალ დონეზე. დღეისთვის ჩვენ შევქმენით ხარისხობრივად ახალი კავშირი და ამ დეკლარაციის ყველა პუნქტი წარმოადგენს გარანტიას ჩვენი სამომავლო თანამშრომლობისთვის“, - განაცხადა ილჰამ ალიევმა თურქეთის ლიდერთან შეხვედრის შეჯამებისას. მან ხაზი გაუსვა, რომ აზერბაიჯანი და თურქეთი მსოფლიო არენაზე წარმოადგენენ ყველაზე ახლოს მყოფ ქვეყნებს, რომელთა ერთობა აიხსნება ისტორიით, კულტურით, საერთო ეთნიკური ფესვებით, ენით, რელიგიით და ეროვნული ფასეულობებითა და ინტერესებით. მისი თქმით, შუშის

[19] აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ.ბაირამოვი გვ.1 **21.06.2021** https://www.interpressnews.ge/ka/article/661915-azerbaijanis-sagareo-sakmeta-ministri-gvjera-somxeti-shekmnili-politikuri-krizisidan-scor-daskvnebs-gamoitans/

(ბოლოს გადამოწმებულია 25/06/2021)

[20] დეკლარაციის უმნიშვნელოვანესი პუნქტებია აზერბაიჯანისა და თურქეთის თანამშრომლობა თავდაცვით სფეროში. „დეკლარაციაში ასახულია მნიშვნელოვანი საკითხები, ისეთები, როგორებიც არის თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე, პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო ურთიერთობები, კულტურა, განათლება, სპორტი, ენერგეტიკული უსაფრთხოება, სამხრეთის გაზის დერეფნის მნიშვნელობა. ყველა საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ორ მათგანზე შევჩერდებოდი. ეს არის აზერბაიჯანისა და თურქეთის თანამშრომლობა თავდაცვით წარმოებაში და ურთიერთ სამხედრო დახმარება“, - განაცხადა ალიევმა. მან დოკუმენტის ხელმოწერას ისტორიული მიღწევა უწოდა. შეხვედრაზე ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი შუშაში საკონსულო განყოფილებას გახსნის.

თავი IV სომხეთ- ამერიკის შეერთებული შტატების შორის პოლიტიკური ურთიერთობები.

4.1 სომხეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები —იგი მოიცავს სომხეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის დიპლომატიურ პოლიტიკურ ურთიერთობას. 2006 წლელს 27 მარტს სომხეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ასს -

[20] Azerbaijan: Presidential Elections 2003 – გვ.3

https://www.hrw.org/legacy/backgrounder/eca/azerbaijan/index.htm

(ბოლოს გადამოწმებულია 16/06/2021)

სთან რომელიც ძალაში შევიდა 2006 წელს იმ პირობით, თუ სომხეთის მთავრობა მიაღწევს განვითარებას ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკის შესრულების კრიტერიუმებზე (როგორებიცაა:სამართლიანი მმართველობა კორუფცია, და ინვესტიცია ხალხში), ხელშეკრულება ხუთი წლის განმავლობაში სომხეთს 235 მილიონ აშშ დოლარს შესთავაზებს. 2012-2013 წლებში შეერთებულმა შტატებმა და სომხეთმა დაგეგმეს პირველი ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარება, რომლის დროსაც სომეხი ჯარისკაცები გადამზადდნენ

სომხეთის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აშშ-მ დაამყარა ურთიერთობები. შტატები ასევე მხარს უჭერს სომხეთს ყველა ისეთ მცდელობაში, როგორიცაა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და აზერბაიჯანთან და თურქეთთან დახურული საზღვრების გახსნა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას. აშშ -ს აქვს მრავალი სავაჭრო ხელშეკრულება სომხეთთან, როგორიცაა ვაჭრობისა და ინვესტიციის ხელშეკრულება („TIFA“), სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ შეთანხმება, და ორმხრივი ინვესტიციის ხელშეკრულება („BAT“-ი). შტატები და სომხეთი ხშირად იწვევენ აშშ-სომხეთის ერთობლივ ეკონომიკურ ჯგუფს („USATF“-ს), რათა განიხილონ საერთო ეკონომიკური და სამთავრობო საკითხები.

1992 წელს სომხეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას შეერთებულ შტატებთან, რამაც გავლენა მოახდინა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობაზე. შეთანხმებები იქნა რატიფიცირებული სომხეთის პარლამენტის მიერ 1995 წლის სექტემბერში და ძალაში შევიდა 1996 წლის დასაწყისში. მასში შედის „შეთანხმება სავაჭრო ურთიერთობებზე“, „ინვესტიციის წახალისების შესახებ ხელშეკრულება“ და ხელშეკრულება „ინვესტიციების წახალისებასა და დაცვა“ სომხეთს არ აქვს ორმხრივი დაბეგვრის ხელშეკრულება შეერთებულ შტატებთან, რაც მათი პროდუქციის განვითარებისთვის ძალიან კარგი წახალისება,1994 წლის კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ არეგულირებს ყველა პირდაპირ ინვესტიციას სომხეთში, ამჟამად დაახლოებით 70 ამერიკული კომპანია ფლობს ბიზნესს სომხეთში, მათ შორის წამყვანი კომპიუტერული

კომპანიები „Dell“-ი, „Microsoft“-ი და „IBM“-ი. ასევე ბიზნესს ფლობენ აშშ-ში დაფუძნებული ინფორმაციული ტექნოლოგიური ფირმების რამდენიმე შვილობილი კომპანიები, მათ შორის „Viasphere Technopark“-ი, „IT ინკუბატორი“, „Coca-Cola“-ს ჩამოსასხმელი ქარხანა, სამკაულების და ტექსტილის წარმოების საშუალებები, სპილენძისა და მოლიბდენის რამდენიმე სამთო და ჰოვნანიანის „ კომპანიები.

100 წლის წინ სომხეთმა გაუძლო ორწლიან სასტიკ პერიოდს. ამ პერიოდმა, რომელიც ასევე ცნობილია როგორც სომხების გენოციდი, გამოიწვია 1,5 მილიონზე მეტი ადამიანის დაიღუპვა ოსმალეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში. შეერთებულმა შტატებმა გენოციდი ოფიციალურად არ აღიარა 2019 წლის 29 [21] ოქტომბრამდე, მანამ სანამ აშშ-ს წარმომადგენელმა პალატამ 405-11 ხმა არ მისცა აღიარების სასარგებლოდ.

4.2 სომხეთის გამოწვევები დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დილემის გადაჭრის წინაშე დგას. მას სურს გახდეს ევროპის ნაწილი, მაგრამ რუსეთის გავლენის ქვეშ პერიოდულად ექცევა, ისეთი გადაწყვეტილებებით ამახსოვრებს თავს, როგორიცაა 2013 წლის სექტემბერში მომხდარი „თავისუფალი ვაჭრობისა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ“ სადაც სომხეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა სერჟ სარგისიანმა განაცხადა, რომ ის ევრაზიულ კავშირს უერთდებოდა, რამაც მსოფლიო გააკვირვა და სომხეთის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. რამდენიმე დღით ადრე ის ვლადიმერ

[21] A Guide to the United States' History of Recognition, Diplomatic, and Consular Relations, by Country, since 1776: Armenia - გვ.15

https://history.state.gov/countries/armenia

(ბოლოს გადამოწმებულია 18/06/2021)

პუტის შეხვდა, რა საუბარი გაიმართა მათ შორის არავინ იცის, მაგრამ როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, პუტინმა ყარაბაღის დაცვაში დახმარებას დაპირდა, თუ ის ევროპის ნაწილს შეუერთდებოდა რუსეთი უარს იტყოდა ხსენებულ პირობაზე. საბოლოო სურათი მაინც ასეთი აღმოჩნდა, მაგრამ სარგისიანის დროს ეს არ მომხდარა, რაზეცვ უკვე ვისაუბრეთ, სომხეთმა დასავლეთის კურსის არჩევით, რუსეთის გავლენის შესუსტებით მათi ნეგატიური პასუხი მიიღო, რამაც ასახვა ჰპოვა 2020 წელს ყარაბაღის კონფლიქტის დროს, რომელიც დღემდე მიმდინარეობს, სადაც რუსეთი შეეცდება სომხეთზე გავლენების მოპოვებას, თუ რეგიონში რუსული ჯარი შევა და იქ მოახდენს მობილიზებას, მათი გამოყვანა ძალიან გაუჭირდებალ, როგორც სომხეთს ასევე აზერბაიჯანს.

ხსენებულის გათვალისწინებით, რუსეთს შეუძლია ტერეტორიული საკითხით, რომელიც სენსიტიურია ორივე მხარისთვის მანიპულაცია მოახდინოს, რითიც ის შეეცდება ორივე ქვეყანაზე გავლენის მოპოვებას.[22]

4.3 სომხეთი თანამედროვე პერიოდში - ომის შემდგომ ვითარება ერევანში და მთლიანად სომხეთში ძალიან დაიძაბა, ოპოზიციურმა პარტიებმა ყოფილი პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის საარჩევნო ბლოკი „სომხეთი“ და ბლოკი „მაქვს პატივი“, რომლის ლიდერი ყოფილი პრეზიდენტი სერჟ სარგსიანია გამოსვლები და აქციებით, ნიკოლ ფაშინიანმა რამდენიმე მკაცრი და ქვეყნისთვის სასიკეტო ნაბიჯები გადადგა, მან აზერბაიჯანს შესთავაზა [23] საკთარი შვილი, ტყვეების სანაცვლოდ, მისი პოლიტიკა ფაქტიურად განწირული იყო, ის არამხოლოდ პრემიერმინისტრის პოსტიდან, არამედ სომეხი ხალხი მის გასამართლებას ითხოვდა. ფაშინიანის პოლიტიკური ნაბიჯები ძალიან საინტერესოდ განვითარდა, რომელიც საბოლოოდ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ინიციატივით გამოვიდა, რადგან მას სხვა გამოსავალი არ

[23] ნიკოლ ფაშინიანი 2021 წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ინიციატივით გამოდის- გვ.1 https://on.ge/about/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98 (ბოლოს გადამოწმებულია 16/06/2021)

რჩებოდა სტაბილურობის მისაღწევად. სომხეთის პრემიერ-მინისტრი 2021 წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ საუბარია ფაშინიანის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში. „ძვირფასო თანამემამულეებო, ახლა უკვე აშკარაა, რომ პრემიერ-მინისტრის გადადგომის მოთხოვნით ოპოზიციის მიერ მართულმა პროცესმა ხალხის მხარდაჭერა ვერ მიიღო. ოპოზიციას ჰქონდა ყველა შესაძლებლობა, თავისი მოთხოვნის გარშემო ხალხის მხარდაჭერა მოეხდინა. მას აქვს უზარმაზარი ფინანსური, მედია და ორგანიზაციული რესურსები, მას ჰქონდა ფართო შესაძლებლობები, მოეწყო მიტინგები და საპროტესტო გამოსვლები, მაგრამ ოპოზიციამ არამარტო ვერ უზრუნველყო ხალხის მხარდაჭერა თავისი მოთხოვნების გარშემო, არამედ მისი მხარდამჭერების რაოდენობა მინიმუმამდე [24]შემცირდა, მოედნის პროცესმა დასასრულს მიაღწია. ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ ძალაუფლება შევინარჩუნეთ უხეში ძალის გამოყენებით. პირიქით, ჩვენ გვადანაშაულებენ, რომ ზედმეტად რბილად ვიქცევით. ამასთან, ეს ყველაფერი არანაირად არ ცვლის ჩემი პოლიტიკურ გუნდის და ჩემს პირად ვალდებულებას, ხალხის წინაშე“, - აცხადებს ფაშინიანი. მისივე თქმით, ის მზად არის, პრემიერ-მინისტრის პოსტი მხოლოდ ხალხის მოთხოვნის შემთხვევაში დატოვოს ან შეინარჩუნოს, ამის გარკვევის ერთადერთ გზად კი რიგგარეშე არჩევნები მიაჩნია. „მე პრემიერის სკამს არ ვეჭიდები, მაგრამ ასევე არ შემიძლია უყურადღებო დამოკიდებულება მქონდეს მთავრობის და პრემიერ- მინისტრის პოსტი მიმართ, რომელიც ხალხმა გადმომცა. ამ პოსტისა და ქვეყნის მომავალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბედი გამოხატვის თავისუფლების გზით უნდა გადაწყდეს და მე, როგორც სომხეთის პრემიერ-მინისტრი თავს გამოხატვის თავისუფლების გარანტორად მივიჩნევ. მე ასევე მზად ვარ დავტოვო პრემიერ-მინისტრის პოსტი ხალხის

[24] ნიკოლ ფაშინიანი - გვ.1
https://www.interpressnews.ge/ka/article/635381-nikol-pashiniani-2021-cels-riggareshe-saparlamento-archevnebis-chatarebis-iniciativit-gamodis/

(ბოლოს გადამოწმებულია 16/06/2021)

გადაწყვეტილების შედეგად. მე შემიძლია პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვება მხოლოდ ხალხის გადაწყვეტილებით. მე ასევე მზად ვარ გავაგრძელო სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ რთულ პერიოდებში, თუ ხალხის ნდობა აღდგება. ყველა ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად მხოლოდ ერთი გზა არსებობს - ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე საპარლამენტო და დაინტერესებულ არასაპარლამენტო ძალებს ვიწვევ კონსულტაციებზე 2021 წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ", - წერს ფაშინიანი „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე. შეგახსენებთ, სომხეთში პრემიერ-მინისტრის გადადგომის მოთხოვნით აქციები პერმანენტულად იმართება. ოპოზიცია ფაშინიანს ტერიტორიების დათმობაში ადანაშაულებს.

4.4 სომხეთი - რიგგარეშე არჩევნები 2021

ერევნის ცენტრში სომხეთის პრემიერ - მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლ ფაშინიანის პარტიის „სამოქალაქო თანხმობის" მომხრეები იკრიბებიან, სადაც[25] მიტინგს გამართავენ და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში ფაშინიანის პარტიის გამარჯვებას აღნიშნავენ. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება. არსებული ინფორმაციით, რესპუბლიკის მოედანზე რამდენიმე ათასი ადამიანია შეკრებილი. გადაკეტილია მიმდებარე ქუჩები. შეკრებილებს ეროვნული დროშები უკავიათ და ელოდებიან, რომ მომხრეებს ნიკოლ ფაშინიანი სიტყვით მიმართავს. ბოლო მონაცემებით, 20 ივნისს გამართულ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე ფაშინიანის პარტია ხმათა დაახლოებით 54 %-ით ლიდერობს. ევროკავშირი მზადაა, მხარი დაუჭიროს სომხეთის სტაბილურ, დემოკრატიულ და წარმატებულ მომავალს, - ამის შესახებ ევროკავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული. „ჩვენ ველით მჭიდრო თანამშრომლობას სომხეთის ყველა ინსტიტუტთან, მათ შორის ახლად არჩეულ პარლამენტთან და მთავრობასთან. ევროკავშირი მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, ერთად იმუშაონ, სომხეთის მოქალაქეების ინტერესებიდან

გამომდინარე, სომხეთის წინაშე მდგარი გამოწვევების ეფექტურად გადასაჭრელად. ევროკავშირი მზადაა გააძლიეროს ორმხრივი ურთიერთობები და მხარი დაუჭიროს სომხეთს მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებაში,"- აღნიშნულია ბლოკის განცხადებაში. ამასთან, ევროკავშირი ხაზს უსვამს, რომ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს საფუძვლიანად და სწრაფად სომხეთის სამართლებრივ ჩარჩოთი გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების გამოყენებით. ექსპერტი და კონფლიქტოლოგი გიორგი კანაშვილი,

სომხეთში რიგგარეშე არჩევნებს ასე გამოეხმაურა : რუსეთს, რა თქმა უნდა, ქოჩარიანი ურჩევნია ფაშინიანს. ფაშინიანი არასდროს იყო კომფორტული პარტნიორი. დემოკრატია, დასავლეთი და ისეთ რაღაცებს იძახის, რაც რუსეთში დიდად არ უყვართ, - ამის შესახებ კონფლიქტოლოგმა, გიორგი კანაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის" გადაცემა „ნიუსრუმში" სომხეთის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით განაცხადა. კითხვაზე, არის აღქმა, რომ გეოპოლიტიკურად რუსეთმა წააგო და რატომ არ ჩაერია რუსეთი, კანაშვილი პასუხობს, რომ ამის რამდენიმე ფაქტორი არსებობს. „პირველი - მაშინდელ შეთანხმებაზე სომხეთს, აზერბაიჯანს და რუსეთს შორის ომის შემდეგ, რომელიც დაიდო, ხელმომწერი არის ფაშინიანი. შესაბამისად, მასზე პასუხისმგებლობა, ვინც არ უნდა მოვიდეს გადმოდის და ქოჩარიანიც, სავარაუდოდ, შეასრულებდა ამ პირობებს, მაგრამ ეს ფაქტორი არის, რომ მაინც ის არის ხელმომწერი. ქოჩარიანის ან რაღაცა სხვა პოლიტიკური მოცემულობის ფონზე შეიძლება იმ შეთანხმებას გარკვეული ტიპის პრობლემები შეექმნას. მეორე ფაქტორი არის ის, რაც რუსეთს ბევრჯერ დამართნია სხვადასხვაგან, რუსებმა იციან, რომ შეიძლება ქოჩარიანზე აქტიური მხარდაჭერის კონტექტსში, საერთოდ უკუეფექტი გამოეღო. მესამე ფაქტორი არის ის, ისინი ფიქრობენ, რომ ფაშინიანი შესაძლებელია ჩაფლავდეს ანუ ჩაფლავდეს ყველა თვალსაზრისით. შეიძლება იგი ჩაფლავდეს და ერთხელ და სამუდამოდ, როგორც სხვათაშორის თავის

დროზე რუსეთში, ყველანაირი გახედვა დემოკრატიისკენ და რაღაცებისკენ მორჩება ძალიან დიდი ხნით“, - განაცხადა კანაშვილმა[26]

თავი V რას უნდა ელოდოს სამხრეთ კავკასია ბაიდენის ადმინისტრაციისგან:

5.1 მომავლის პერსპექტივები და გადაუჭრელი პრობლემები

აშშ-ის 46-ე პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკა და ჯ. ბაიდენის დოქტრინა ჯერ კიდევ მზადების პროცესშია და გამოკვეთილ სახეს სავარაუდოდ მიმდინარე წლის ბოლოს მიიღებს, აქედანვე ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიას თეთრი სახლის დიპლომატიური ძალისხმევის მხოლოდ მცირე ნაწილი დაეთმობა. მოცემულ ეტაპზე, ვაშინგტონის პრიორიტეტებში კორონავირუსის პანდემიის შედეგად უკიდურესად დაზარალებული ეკონომიკის აღდგენა და ჩინეთის მზარდი ამბიციების შეკავება წარმოადგენს, რომლის ფონზეც შედარებით უკანა პლანზე აღმოჩნდა აშშ-ის გლობალური ჩართულობა დედამიწის სხვა, ნაკლებად კრიტიკულ წერტილებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავრობა ერთი თვის წინ შეიცვალა. რესპუბლიკელი დონალდ ტრამპის შემდეგ, ქვეყნის მართვა დემოკრატმა ჯო ბაიდენმა გადაიბარა. ყოველი ასეთი ცვლილების დროს ჩნდება კითხვა, თუ როგორი საგარეო

[26]რას უნდა ელოდოს სამხრეთ კავკასია ბაიდენის ადმინისტრაციისგან -მარიამ უგრეხელიძე 22 თებერვალი, 2021 გვ.15

https://www.amerikiskhma.com/a/what-the-south-caucasus-should-expect-from-biden-administration/5782398.html

ბოლოს გადამოწმებულია (16/06/2021)

პოლიტიკა ექნება ახალ ადმინისტრაციას. ეს შეკითხვა, სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და საქართველოს მიმართაც ისმის.პრეზიდენტი ბაიდენი, კარგად იცნობს საქართველოს. ის ორჯერაა ქვეყანაში ნამყოფი და საქართველოსთვის მხარდაჭერა პირადად აქვს გამოცხადებული.

2008 წელს, როცა რუსეთ-საქართველოს ომის დროს ბაიდენი თბილისში ჩავიდა, ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯომარე იყო. მაშინ ნათქვამი სიტყვები „მე თქვენ არასდროს მიგატოვებთ“ საქართველოში დღემდე ახსოვთ. 2009 წელს ჯო ბაიდენი უკვე ვიცე-პრეზიდენტის რანგში ჩავიდა საქართველოში და ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მხარდაჭერა ქვეყნის პარლამენტს პირადად გადასცა.

გარდა, ამისა, ბოლო 40 წელზე მეტი, ბაიდენი ამერიკის პოლიტიკაში მაღალ თანამდებობებს იკავებდა და თავისი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, კარგად იცნობს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს.

თუმცა, არის თუ არა საკმარისი ახალი პრეზიდენტის მიერ რეგიონის ცოდნა იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიამ ამერიკის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული როლი დაიკავოს? ექნება თუ არა ბაიდენის ადმინისტრაციას ახალი, მკაფიო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიისადმი და განიხილება თუ არა ის ცალკე რეგიონად და არა რუსეთის, ან ევროპის რეგიონის პოლიტიკის ნაწილად?

სვანტე კორნელი, "კავკასიისა და ცენტრალური აზიის ინსტიტუტის" დირექტორი ამბობს, რომ ამერიკის წინა რამდენიმე პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ.

„ტრამპის ადმინისტრაციამ სპეციფიკური სტრატეგიული დოკუმენტი შეიმუშავა ცენტრალური აზიის რეგიონისთვის... თუმცა, ასეთი დოკუმენტი არ გვინახავს სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში. რამდენადაც მე ვიცი, ყველაზე ახლოს, რაც კი სტრატეგიის მსგავსად შეიძლება აღვიქვათ, იყო პოლიტიკური განცხადებები სხვადასხვა თანამდებობის პირების მხრიდან, რომლებიც ძალიან იშვიათად ფოკუსირდებოდნენ სამხრეთ კავკასიაზე, როგორც რეგიონზე“, - ამბობს კორნელი.

ისი აზრით, სამხრეთ კავკასია ცალკე რეგიონად უნდა განიხილიბოდეს და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ, ამერიკას ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია უნდა ჰქონდეს.

კორნელი ამბობს, რომ აქამდე ეს ქვეყნები სხვა რეგიონების ჭრილში ცალ-ცალკე განიხილებოდა და ისინი დიდი ქვეყნების მიმართ ამერიკის პოლიტიკის ერთგვარ დამატებად მოიაზრებოდა.

„საქართველოს შემთხვევაში ეს იყო რუსეთი, თურქეთთან ერთად განიხილებოდა სომხეთის საკითხი, აზერბაიჯანი კი, ხანდახან ავღანეთის მიმართ პოლიტიკის ნაწილი იყო“, - ამბობს კორნელი.

ბაიდენის ადმინისტრაციაში ყველა საკვანძო თანამდებობის პირი დამტკიცებული ჯერ არ არის. შესაბამისად, არც ბოლომდე ჩამოყალიბებული პოლიტიკა და მიდგომებია ცნობილი. ახლა სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის ერთ-ერთი მთავარი კითხვაა შეცვლის თუ არა ბაიდენის ადმინისტრაცია ძველ მიდგომას.

ბაიდენმა რამდენიმე მკაცრი განცხადებები უკვე გააკეთა, რითიც ხაზი გაუსვა რუსეთის ჰეგემონობას სამხრეთ კავკასიაში და მისი დამორჩილების საკმაოდ ეფექტური გეგმა შეიმუშავა. მისი განცხადება რომელიც თებერვლის თვეში გაკეთდა რუსეთის მიმართ შემდეგნაირად ჟღერს „„ამერიკა დაბრუნდა. დიპლომატია დაბრუნდა”, - თქვა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სახელმწიფო დეპარტამენტში, საგარეო პოლიტიკური გეგმების შესახებ პირველი გამოსვლისას.

დიპლომატების წინაშე საკუთარი ხედვის წარდგენისას, ბაიდენმა რუსეთთან ურთიერთობაზეც ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ დასრულდა ის პერიოდი, როდესაც ამერიკა რუსეთს წინააღმდეგობას არ უწევდა და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნის დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

„მე პრეზიდენტ პუტინს ნათლად ვუთხარი, რომ მე ძალიან განვსხვავდები ჩემი წინამორბედისგან. დასრულდა დრო, როცა შეერთებული შტატები წინ არ უდგებოდა რუსულ აგრესიულ ქმედებებს: ჩვენს არჩევნებში ჩარევას, კიბერ-თავდასხმებს და მისი

მოქალაქეების მოწამვლას. ჩვენ უყოყმანოდ, ამას რუსეთს უფრო ძვირს დავუჯენთ და დავიცავთ ჩვენ კრიტიკულ ინტერესებს და ხალხს“, - თქვა ბაიდენმა.

ბაიდენისგან ვაშინგტონში მოსკოვთან ურთიერთობებში უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარებას და ადამიანის უფლებებზე უფრო მეტად ფოკუსირებას მოელიან. მისი ადმინისტრაციის წევრებმა, მათ შორის, სახელმწიფო მდივანმა სხვებთან ერთად, უკვე წამოჭრეს რუსეთთან ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველოსა და უკრაინაში შეჭრა. სამხედრო აგრესიის საკითხი, სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ენტონი ბლინკენმა რუს კოლეგასთან ბირთვული შეიარაღების კონტროლის შეთანხმების, "სტარტის III" შესახებ სატელეფონო საუბრისას ახსენა. მხარეები "ახალი სტარტის" ხუთი წლით უცვლელად გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

ოსკოვი კი ამერიკის განცხადებებს არაკონსტრუქციულს და აგრესიულს უწოდებს.

ორი ქვეყნის ურთიერთობა მოსკოვის ამერიკის არჩევნებში ჩარევის მცდელობის, „სოლარუინდის“კიბერ თავდასხმების და რუსეთში დაკავებული ამერიკის ორი მოქალაქის პოლ ვილანის და ტრევორ რიდის საქმეების ფონზე დაძაბულია.

დაძაბულობა კიდევ უფრო გააღრმავა, გასულ კვირას, ალექსეი ნავალნისთვის სასამართლოს მიერ სამნახევარი წლით პატიმრობის მისჯამ. ალექსეი ნავალნი რუსეთში გერმანიიდან დაბრუნებისას დააკავეს. გერმანიაში ის საბჭოთა ნერვული აგენტით „ნოვიჩოკი“ მოწამვლის შემდეგ მკურნალობდა. მას რუსეთში სასამართლომ პირობითი სასჯელი 3.6 წლით პატიმრობით შეუცვალა.

მოსკოვში ოპოზიცია იმედოვნებს, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია უფრო აქტიური იქნება პოლიტიკური თავისუფლების მხარდაჭერის კუთხით, ვიდრე მისი წინამორბედი. ნავალნის მოკავშირე ვლადიმირ მილოვი ამბობს მას ამის თქმის იმედს ის აძლევს, რომ ახალ ადმინისტრაციას რუსეთში არსებულ ვითარებაზე ილუზიები არ აქვს.

„იმ ხალხს, ვინც ბაიდენთან ერთად მოდის ხელისუფლებაში, ილუზიები არ აქვს იმაზე, რაც რუსეთში ხდება. კარგი ამბავი ისაა, რომ არ იქნება ე.წ. „სწავლის პერიოდი“ -

ყოყმანი იმაზე, გადატვირთონ (მოსკოვთან) ურთიერთობები თუ არა“, - ამბობს მილოვი.

ახალი ადმინისტრაცია აცხადებს, რომ შეერთებული შტატები გლობალურად მისი შეიარაღებული ძალების განთავსების საკითხს გადახედავს, იქნება ეს ერაყში, ავღანეთსა თუ ევროპაში.

ჯო ბაიდენის თქმით, ამ ეტაპზე გერმანიიდან ჯარების გაყვანა, რომლის გადაწყვეტილებაც მისმა წინამორბედმა, დონალდ ტრამპმა მიიღო, შეჩერებულია. ტრამპი გეგმავდა გერმანიიდან, სადაც ევროპაში ამერიკის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტიგენტია განთავსებული, 12 000-მდე სამხედრო მოსამსახურე პირის გაყვანას. გეგმის მიხედვით, მათგან 5 600 ნატოს სხვა მოკავშირე ქვეყნებში ნაწილდებოდა, მათ შორის, ბელგიასა და იტალიაში. ნაწილი კი „განგრძობით როტაციაში“ უნდა ჩართულიყო შავი ზღვის რეგიონში.

მიმომხილველები ამბობენ, რომ ამ ნაბიჯის მიზანი, გერმანიის და ევროპელი მოკავშირეების დარწმუნების მცდელობაა, რომ ამერიკა ტრადიციულ პარტნიორობას არ უღალატებს.

„ეს ნაბიჯი ამერიკის საგარეო პოლიტიკის ნორმისკენ დაბრუნებაა. იმ ნორმის, როცა ამერიკა მოკავშირეებთან, განსაკუთრებით დემოკრატიულ მოკავშირეებთან, ახლოს თანამშრომლობს“, - განუცხადა „ამერიკის ხმას“ ბრაიან კურტისმა, „ამერიკული პროგრესის ცენტრიდან“.

მართალია, ევროპის წამყვანი ქვეყნები, ბაიდენის ადმინისტრაციას ოპტიმიზმით შეხვდნენ, მაგრამ ბერლინსა და პარიზში ვაშინგტონს სიფრთხილით ეკიდებიან. მოკავშირეებს შორის ბევრი უთანხმოების საკითხია, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობებშიც. პრობლემები, რომელზეც ბაიდენის წინამორბედი დონალდ ტრამპი ხშირად საუბრობდა, იქნება ეს ნატოს დანახარჯები თუ "ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის პროექტი კვლავ რჩება.

“ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის მილსადენით, კომპანია "გაზპრომი" გერმანიისთვის რუსეთიდან გაზის მიწოდებას გეგმავს. ვაშინგტონი პროექტს ეწინააღმდეგება და

აცხადებს, რომ ეს გაზრდის ევროპის ენერგო-დამოკიდებულებას რუსეთზე. ბერლინი კი ამერიკის პოზიციას არ იზიარებს.

ეს კი იმ ფონზე, როცა ბაიდენის გუნდისთვის, ევროკავშირთან ერთიანი პოზიციების ქონა კრიტიკულია, რათა რუსეთზე გაზარდოს ზეწოლა ნავალნის და დაკავებული 10,000-ზე მეტი დემონსტრანტის გასათავისუფლებლად თუ სხვა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე სამუშაოდ, როგორიცაა ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღება, ევროპის ენერგო უსაფრთხოება თუ არქტიკის ათვისების საკითხები.[27]

5.3 ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ

მოცემულ შემთხვევაში საგულისხმოა ის გარემოება, რომ პრაქტიკულად ყველ წინამორბედისგან განსხვავებით, პრეზიდენტ ბაიდენს მდიდარი საგარეო პოლიტიკური გამოცდილება გააჩნია და რეალურად იცნობს გლობალური უსაფრთხოების პრობლემატიკის აქტუალურ საკითხებს. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ აშშ გააგრძელებს გლობალური ჩართულობის პოლიტიკას, თუმცა შეზღუდული რესურსების და ხანგრძლივი ომებით გადაღლილობის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვაშინგტონი ღიად შეიჭრას სხვა დიდი სახელმწიფოების გავლენის სფეროში.

ზემოხსენებული ფაქტორების კომბინაცია აყალიბებს აშშ-ის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის მიმართ. ერთი მხრივ, აშშ ეტაპობრივად კვეცს სამხედრო ყოფნას ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის სექტემბრისთვის ასრულებს 20 წლიან სამხედრო ოპერაციას ავღანეთში, რაც ვაშინგტონისთვის ბუნებრივად ამცირებს სამხრეთ კავკასიის როგორც მომარაგების მარშრუტის და შესაძლო პლაცდარმის ფუნქციას. მეორე მხრივ, რუსეთი

სულ უფრო აქტიურად ცდილობს საკუთარი გავლენისა და შესაძლებლობების დემონსტრირებას ახლო სამეზობლოში (რასაც მოსკოვი „პრივილეგირებული ინტერესების სფეროდ“ მიიჩნევს), რის საშუალებასაც იქ განთავსებული სამხედრო ბაზები და ძალის გამოყენების მზაობა აძლევს. შესაბამისად, აშშ ცდილობს ფრთხილი და გაწონასწორებული პოლიტიკის გატარებას, რაც შესაძლებელს გახდის არსებული რეგიონული ბალანსის შენარჩუნებას და არ მისცემს საშუალებას კიდევ უფრო გაიფართოვოს უკვე ძლიერი პოზიციები.

აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ აშშ აპირებს სამხრეთ კავკასიიდან გასვლას, რადგან ამის შესაძლებლობას რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ენერგოსისტემაში ჩართულობა არ იძლევა. ამას ადასტურებს როგორც აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, ისე ვაშინგტონის უკანასკნელი ინიციატივა, როდესაც აშშ-საქართველოს შუამავლობით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მნიშვნელოვანი შეთანხმება შედგა ტყვეების და დანაღმული ველების რუკების გაცვლის შესახებ. თუმცა, ჩინეთთან და რუსეთთან მეტოქეობის ფონზე, სამხრეთ კავკასია არ იქნება აშშ-ის უმთავრესი გეოპოლიტიკური თავისტკივილი.

5.4 აშშ-ის გაზრდილი დაინტერესება სამხრეთ კავკასიით

აშშ-ის როგორც გლობალური აქტორი ინტერესი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიმართ მუდმივად არსებობდა, თუმცა კონკრეტულად სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით აღნიშნული ინტერესის გაზრდა გამოიწვია როგორც აზერბაიჯანის ენერგორესურსებით დაინტერესებამ („საუკუნის პროექტი“), ისე აშშ-ის ომებმა ახლო აღმოსავლეთში 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, რაც ბუნებრივად განაპირობებდა ახლომდებარე რეგიონების და სახელმწიფოების ვაშინგტონის თვალსაწიერში მოხვედრას. [28]

[28]აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის - ლალი ლეჟავა.გვ.5

11 სექტემბრის ტერაქტებით გამოწვეული გეოპოლიტიკური შოკის ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი სწორედ აშშ-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონში „შემოსვლა“ გახდა. ბაქომ, თბილისმა და ერევანმა მალევე აღუთქვეს ამერიკას სრული მხარდაჭერა ტერორიზმთან ბრძოლაში, თუმცა ვაშინგტონისთვის მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ინსტიტუციურ დონეზე აყვანა და გრძელვადიანი საყრდენის შექმნა. აღნიშნული მიზნით, აშშ-მა მნიშვნელოვნად გააფართოვა სამხედრო თანამშრომლობა სამივე ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან დაიწყო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის განხორციელება, მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გამოუყო სომხეთს კონტრტერორისტული დანაყოფების და სამშვიდობო ბრიგადის მოსამზადებლად და აქტიურად იყო ჩართული აზერბაიჯანთან, ირანის საზღვრის გაკონტროლების და საჰაერო სივრცის გამოყენების თვალსაზრისით.

აღნიშნული გაზრდილი ჩართულობის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურება იყო 2002წ. აშშ-ის კონგრესის მიერ აზერბაიჯანისთვის დაწესებული სანქციების ე.წ. „907-ე შესწორების“ დროებითი გაუქმება. აღნიშნული სანქციები მთიანი ყარაბაღის პირველი ომის დროს, სომხური ლობის აქტიური ძალისხმევით მიიღო აშშ-ის კონგრესმა და იგი აშშ-ის მთავრობას უწესებს აზერბაიჯანისთვის პირდაპირი დახმარების გაწევის აკრძალვას. აღნიშნული დროებით გაუქმება წარმოადგენს პრეზიდენტის პრეროგატივას და 2002 წლიდან მას აშშ-ის ყველა პრეზიდენტი ყოველწლიურად აუქმებს, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია აშშ-აზერბაიჯანის პარტნიორობისთვის.

სამხრეთ კავკასიაში მძლავრი ინსტიტუციური საყრდენის შექმნის თვალსაზრისით აშშ-ისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო კარგად ორგანიზებული და გავლენიანი არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბება. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება აშშ-ის დაფინანსებით მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების გააქტიურება და

---

http://gip.ge/ge/%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D/
(ბოლოს გადამოწმებულია 15/06/2021)

დემოკრატიზაციის/რეფორმების საკითხის წინ წამოწევა. ამ მხრივ, კულმინაციას წარმოადგენდა საქართველოს „ვარდების რევოლუცია“, რომლის შედეგადაც ქვეყნის ხელისუფლებაში მკაფიოდ პროამერიკული გუნდი მოვიდა. თუმცა, სომხეთსა და აზერბაიჯანში მსგავსი სცენარი ვერ შედგა და ორივე ქვეყნის ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა არასამთავრობო სექტორის გავლენის უკიდურესად შესამცირებლად.

სამხრეთ კავკასიის უშუალოდ სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების გარდა, რეგიონმა აშშ-ისთვის საკვანძო ფუნქცია შეიძინა მსხვილი ენერგოპროექტების რეალიზების თვალსაზრისით. ვაშინგტონი აქტიურად იყო ჩართული აზერბაიჯანული ენერგორესურსების გამტარი მილსადენების კონფიგურაციის ჩამოყალიბებასა და დაფინანსებაში (მათ შორის, აშშ-მა დაბლოკა ნავთობსადენის ირანის ტერიტორიაზე გატარების იდეა) და აღნიშნულს განიხილავდა რუსულ ენერგომატარებლებზე ევროპის დამოკიდებულების შემცირებისკენ გადადგმულ ნაბიჯად. დღემდე აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აზერბაიჯანის და პერსპექტივაში ცენტრალური აზიის (თურქმენეთის) ნავთობისა და გაზის ევროპულ ბაზრებზე ექსპორტის საკითხს, რადგან აღნიშნული ხელს უწყობს ენერგოიმპორტის დივერსიფიცირებას და რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდას.

თავი VI ექსპერტთა შეფასებები - სამხრეთ კავკასია - რუსეთ - ამერიკის გადაუჭრელი პრობლემა

6.1. რუსეთ ამერიკის ურთიერთობის შეფასებები

დღევანდელი პრიზმიდან თუ განვიხილავთ ნათლად დავინახავთ, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში ერთერთი მთავარი პრობლემა სამხრეთ კავკასია და მასზე გავლენების გაფართოვებაა

მკვლევარი და აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი ემილ ავდალიანი თავის სტატიაში ღიად საუბრობს თურქეთის და ირანის ჩართულობაზე კრემლის ზრახვების სისრულეში მოყვანაზე, „- კრემლს რომ სამხრეთ კავკასიაში არ სურს რუსეთის გარეშე არც მშვიდობა და არც ომი, ამაში ახალი თითქოს არაფერია, მაგრამ ახლა საინტერესო ისაა, მას ამ საქმეში პარტნიორებად თურქეთი და ირანიც ჰყავს.“

ამერიკის შეერთებული შტატები თანამედროვე პერიოდში

ამერიკა დღეს. 2021 წელის იანვრის თვეში რესპუბლიკური პარტიის ლიდერი კდიევ ერთხელ არიჩია ამერიკელმა ხალხმა პრეზიდენტად, ჯო ბაიდენი რიგით 46 - პრეზიდენტი გახდა ამერიკის ისტორიაში. აღსაღნიშნავია, რომ ინაუგურაციას ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი არ დაესწრო. ამერიკაში ახალი პრეზიდენტის მოსვლით ძირეული რეფორმების მოლოდინში მყოფი პატარა სახელმწიფოები დიდი რუდუნებით აკვირდებიან ბაიდენის მოსვლის შემდგომ მოვლენებს, მათ შორის სამხრეთ კავკასია. პოლიტიკის ექსპერტები ამერიკას მოუწოდებენ მეტი ინტერესით ჩაერთონ კავკასიის რეგიონის განვითარებაში და არ მისცენ საშუალება რუსეთს გავლენების სფეროს გავრცელებაში. ბაიდენმა მწვავე განცხადებებით დაიწყო რუსეთთან ურთიერთობები, მან რუსეთის პრეზიდენტს „მკვლელი“ უწოდა, ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ისინი შეძლებენ სიტუაციის დასტაბილურებას. ამა წლის 16 ივნის ჯო ბაიდენი ვლადიმერ პუნტინთან შესახვედრად ჟენევაში გაემგზავრა, რისი მომცემი შეიძლება იყოს ეს შეხვედრა, მოხდებოდა თუ არა კავკასიის რეგიონის განხილვა შეხვედრაზე. შეხვედრის შემდეგ კომენტარები შემდეგი სახის გაკეთდა. როგორც აღმოჩნდა დღის წესრიგში კავკასიის თემა არ ყოფილა, მათ უკრაინის თემაზე დიალოგი აწარმოეს რაზეც შემდეგი კომენტარი გააკეთა პუტინმა „დიახ, ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ მისი ინიციატივით“, - აღნიშნა პუტინმა. მან ადამიანის უფლებების კუთხით პარალელი გაავლო აშშ-სთანაც. „ადამიანის უფლებების საკითხს რაც შეეხება

გუანტანამო ისევ არსებობს, სრულიად არ შეესაბამება არაფერს, არც საერთაშორისო სამართალს, არც ამერიკულ კანონებს, არაფერს, მაგრამ აქამდე არსებობს. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ციხეები ამ დრომდე ღიაა, სადაც მიღებულია წამება. ეს რა არის? ეს ადამიანის უფლებებია? ვფიქრობ, რომ - არა. ეს არის რეალური პოლიტიკის პრაქტიკა", - განაცხადა პუტინმა. მისი თქმით, ნავალნისთან დაკავშირებული ორგანიზაცია, საჯაროდ მოუწოდებდა მასობრივი არეულობისკენ. „ცოტა ხნის წინ არეულობა მოხდა აშშ-ში აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალების შემდეგ. მათ თანავუგრძნობთ, მაგრამ არ გვინდა, რომ ეს მოხდეს ჩვენს ტერიტორიაზე, და ყველაფერს გავაკეთებთ რომ ეს არ დავუშვათ", - აღნიშნა პუტინმა. შეხვედრაზე ასევე კომენტარი ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა. ვფიქრობ, კარგი დღე იყო რუსეთისთვის, არა მგონია, რომ ჩვენ რამე მიგვეღო, - ამის შესახებ აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა Fox News-თან ინტერვიუში, ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს შორის გუშინ გამართული შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა. ყოფილმა პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჯო ბაიდენმა „ჩრდილოეთ ნაკადი 2"-ის პროექტის დასრულების თანხმობა გასცა. მისი თქმით, რუსეთი გერმანიისთვის გაზის მიყიდვის შედეგად მნიშვნელოვნად ისარგებლებს. „ჩვენ ძალიან დიდი სცენა დავუთმეთ რუსეთს და თავად არაფერი მიგვიღია. ჩვენ დავთმეთ ისეთი რამ, რაც დაუჯერებლად ღირებულია. მე შევაჩერე მილსადენი, „ჩრდილოეთ ნაკადი 2", შემდეგ კი ის კვლავ დაუბრუნდა (გერმანიას და რუსეთს) და ამის სანაცვლოდ არაფერი მიგვიღია,"- აღნიშნა ტრამპმა. პუტინს ასევე არ დავიწყებია მკვეთრი განცხადება, რომელიც ბაიდენმა მისი მიმართულებით გააკეთა და მას „მკვლელი" უწოდა. პუტინმა შეხვედრის შემდეგ, ბაიდენის ამ კომენტარსაც უპასუხა: „მკვეთრ განცხადებებთან დაკავშირებით: აბა რა გითხრათ, ჩვენ ყველამ ვიცით ეს განცხადება. ამის შემდეგ ბაიდენმა დამირეკა, ერთმანეთს განვუმარტეთ და მე მისმა განმარტებამ დამაკმაყოფილა. მან შეხვედრა შემომთავაზა - ეს მისი ინიციატივაა და ჩვენ შევხვდით", - განაცხადა პუტინმა ბაიდენთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. პუტინმა დღევანდელ ბრიფინგზე განაცხადა, რომ აშშ-მა რუსეთი თავის მტრად ჯერ

კიდევ 2017 წელს გამოაცხადა და გადაწყვიტა, პოლიტიკურ ორგანიზაციებს რუსეთში მხარი დაუჭიროს. „ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში შეტანილია დებულება იმის შესახებ, რომ ამერიკამ მხარი უნდა დაუჭიროს დემოკრატიული მმართველობის წესებსა და წესრიგს ჩვენ ქვეყანაში და მხარი დაუჭიროს პოლიტიკურ ორგანიზაციებს“, - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.ცნობისთვის,ჯო ბაიდენმა რამდენიმე თვის წინ, რუსეთის ლიდერსვლადიმერ პუტინს მკვლელი უწოდა.[29]

6.2 ანონიმური ინტერვიუ აშშ საელჩოს წარმოამდგენელთან

თემის ირგვლივ კვლევის და ფაქტების მოძიების დროს, აშშ საელჩოს წარმომადგენელ ბ.ი. ვთხოვე ინტერვიუ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან ის წარმოადგენს ოფიციალურ პირს, მან ანონიმურად დარჩენა არჩია, მხოლოდ ამის შემდეგ დამთანხმდა ინტერვიუზე.

ბ.ი. საკმაოდ დიდ თანამდებობას იკავებს აშშ წარმომადგენლობით საქართველოში, ის არის კონფლიქტოლოგი, ასევე მას უხდება ანგარიშის გადაგზავნა თვეში ერთხელ აშშ - ში, საუბრის დროს განსახილველი თემა იყო აშშ ჩართულობა საქართველოში, რა პერსპექტივები არსებობს და როგორი იქნება ახალი ადმინისტრაციის ხედვა ყოველივე ამაზე.

როგორც ბ.ი. - მ აღნიშნა იმ დროს როცა მასალები მსოფლიოსთვის ნაცნობ თემებზე ქვეყნდება და გლობალური დაინტერესება მაღალია, მნიშვნელოვანია არ მოხდეს კავკასიის რეგიონში აშშ - ის საკვანძო სტრატეგიული მოკავშირის - საქართველოს იგნორირება.

ამას წინათ აშშ-ის ყოფილმა ელჩმა რუსეთში **მაიკლ მაკფოლმა** ყველას შეგვახსენა, რომ ათი წლის წინათ, მოსკოვში, ჯო ბაიდენისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრის

დროს, ორივე ლიდერი ერთმანეთან საკმაოდ მკვეთრად საუბრობდა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციასთან დაკავშირებით. ის, რომ ვლადიმირ პუტინმა საქართველოსთან 2008 წლის ომის შემდეგ ყირიმის ოკუპირება მოახდინა, ეს იყო მოსკოვის პასუხი კიევის ნატოში გაწევრების სურვილზე. დღეს რუს ჯარისკაცებს ჯერ კიდევ აქვთ დაკავებული საქართველოს ტერიტორიის 20%. მაიკლ ბ.ი. -მ ისიც აღნიშნა, რომ ჟენევის სამიტის დღის წესრიგში საქართველოს რეგიონების უკანონო ოკუპაციის საკითხიც უნდა ყოფილიყო შეტანილი“

ბ.ი. აზრით აზრით, "საქართველო ნამდვილად იმსახურებს აშშ-ის უფრო მეტ ყურადღებას". მიუხედავად იმისა, ამ ქვეყნის მიმართ რუსეთის აგრესია დღესაც გრძელდება, კავკასიური სახელმწიფო იმის მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ შეიძლება ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მნიშვნელოვან დემოკრატიულ წარმატებებს მიაღწიოს სახელმწიფოს მშენებლობაში, სუვერენიტეტისთვის ბრძოლაში.

არსებობს **სულ ცოტა სამი მიზეზი, რომლის გამოც ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ საქართველოსთან აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა უნდა განამტკიცოს:**

პირველი - საქართველომ თავისი წვლილი შეიტანა რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. 2020 წლის ბოლოს, კავკასია-შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთმა გაყინულმა კონფლიქტმა - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა გაიღვიძა და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სისხლიან ომში გადაიზარდა. ომს შეიძლებოდა საქართველოსთვის ცუდი შედეგები მოეტანა - გამორიცხული არ იყო რუსეთის სამხედრო ყოფნის გაზრდა ორ ოკუპირებულ რეგიონში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ომის დასრულების დროს საქართველოზე ზეწოლა მოხდა იმ მიზნითაც, რომ მას მონაწილეობა მიეღო თურქეთის ინიციატივით და რუსეთის თანხმობით წამოყენებულ რეგიონული თანამშრომლობის პროგრამაში - "კავკასიური ექვსეულის“ პლატფორმაში (თურქეთი, რუსეთი, ირანი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), რომელიც მასში აშშ-სა და დასავლეთის ჩართვას არ ითვალისწინებს. **ამის მიუხედავად, საქართველომ მაინც მოახერხა მნიშვნელოვანი როლის შესრულება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომი სი-**

ტუაციის დარეგულირებაში, რომელიც სომეხი ტყვე ჯარისკაცების გათავისუფლებაში შუამდგომლობით გამოიხატა, დანაღმული ზონების რუკების გადაცემის სანაცვლოდ. თბილისის მიერ შეტანილი ეს წვლილი იმის დემონსტრირებას წარმოადგენს, რასაც საქართველო ახორციელებს ევროპის აღმოსავლეთში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისთვის, აშშ-ის ერთგული მოკავშირის სახით.

მეორე - როცა აშშ თავის მოკავშირეებს მხარდაჭერას სთხოვს, საქართველო მუდამ პირველი რეაგირებს. ასე იყო, მაგალითად, ერაყთან და ავღანეთთან დაკავშირებით - საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფები ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეუერთდნენ აშშ-ის ხელმძღვანელობით განხორციელებულ ნატოს სამშვიდობო ოპერაციებს. უფრო მეტიც - საქართველო იყო ის ქვეყანა, რომლის ყველაზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა (მოსახლეობის მიხედვით) ალიანსის ზემოთ ხსენებულ ოპერაციებში.

საქართველო ათეულობით წლის განმავლობაში უწევს წინააღმდეგობას რუსულ ჰიბრიდულ აგრესიას, ახდენს თავისი შეიარაღებული ძალების რეფორმირებას და ემზადება იმ დღისათვის, როცა მას ნატოში მიიღებენ. საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ არსებული კონფლიქტების დროს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების მხარდაჭერა ნატოში ინტეგრაციის მიმართ მაინც საოცრად მაღალი რჩება.

დაბოლოს, მესამე - საქართველოს იმ ბრძნული როლის შესახებ, რომელსაც ის ასრულებს (და კიდევ უფრო მეტად შეუძლია შეასრულოს): ერთგვარი ხიდის როლი რუსეთთან და თურქეთთან მიმართებით. საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზანი მკაფიო რჩება: შეუერთდეს ნატოს და ევროკავშირს როგორც სტაბილური დემოკრატიული სისტემის მქონე ქვეყანა. მაგრამ იმავდროულად თბილისი იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ თავის ძლიერ მეზობლებთან - რუსეთთან და თურქეთთან ურთიერთობა არ უნდა გააუარესოს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მუქარები და ოკუპაცია არ წყდება, საქართველომ მაინც მოახერხა მოსკოვთან სტაბილური დამოკიდებულების შენარჩუნება, ხოლო თურქეთთან - სტრატეგიული და ნაყოფიერი პარტნიორობის განვითარება.

თბილისის როგორც ხიდის როლი ამ ორ სახელმწიფოსთან ძალზე მნიშვნელოვანია აშშ-სათვის, შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობის საქმეში.

"ჯო ბაიდენის ევროპული ტურნეს დასრულების შემდეგ საქართველომ ვაშინგტონის საერთაშორისო დღის წესრიგში უფრო შესამჩნევი ადგილი უნდა დაიკავოს. როცა საქართველო თავს იცავს, როცა თბილისი დემოკრატიულ ინსტიტუტებს განამტკიცებს, სწორედ მაშინ ჭირდება მას პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერა დასავლელი პარტნიორებისაგან. აშშ-ის ინტერესებშია, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგას", - ასე ახასიათებს ბ.ი. დღევანდელ სიტუაციას აშშშ - საქართველოს ურთიერთობებზე.

დასკვნა

ნაშრომი განვიხილეთ სამხრეთ კავკასიის წარსული - აწმყო და მომავლის პესპექტივები. აშშ კავშირი მესამე ათასწლეულის დააწყისიდან დღემდე. რისი თქმა შეგვიძლია საბოლოოდ? როგორ უნდა მოიქცნენ ქვეყნები უკეთესი მომავლისთვის, უკეთესი განვითარებისთვის როგორც დრო გვიჩვენებს, არსებობს მხოლოდ სამი გამოსავალი. პირველი - რუსეთის შესუსტება, ბუნებრივი წიაღისეულის შემცირება რუსეთის ტერეტორიებზე, ან მათი რაიმე სახით კავკასიის რეგიონზე ყურადღების მოდუნება, ფაქტია წლების განმავლობაში რუსეთი ასუსტებს და აბრკოლებს რეგიონის განვითარებას, ხელს უშლის ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებას. როგორ უნდა მოიქცეს კავკასიის რეგიონი? რესურსების ამოწურვის რეჟიმში ყოფნა ან რუსეთის შესუსტების მოლოდინში ყოფნა, ეს პოლიტიკური ნაიჯები არაა, არსებობს მეორე ალტერნატივა, რომელზეც თემაში დაწვრილებით გვქონდა საუბარი. მეორე ალტერნატივა - მეტი ინვესტიციები, მეტი საერთაშორისო პროექტების განხორციელება, ბევრი უცხოური კომპანიების დაინტერესება კავკასიის რეგიონით, ესაა განვითარების მთავარი და უალტერნატივო გზა. პროექტები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით გაკეთდა, რეგიონს აკავშირებს

ევროპასთან, ხდის განუყოფელ ნაწილად. ასეთი პროექტები არის ხიდი დაუკავშირდე მსოფლიოს და რეგიონი გახადო მეტად მიმზიდველი დანარჩენი მსოფლიოსთვის. აზერბაიჯანი ინვესტორების ნაკლებობას არ განიცდის, რადგან ნავთობი იძლევა იმის საშუალებას, რომ დაინტერესბა მაღალი იყოს, რაც შეეხება დანარჩენ ორ ქვეყანას, სომხეთს და საქართველოს აქ მდგომარეობა შედარებით რთულადაა. მეტი ჩართულობა და ინფორმაციული სვლებია საჭირო. მესამე - აშშ ყურადღების მოპოვება და მათი მაქსიმალურად ჩართულობა რეგიონში, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვითარებისთვის. დღეს ვხედავთ ქვეყნებს, რომლებიც ქმნიან პოლიტიკურ წესრიგს მსოფლიოში, დემოკრატიის უმაღლესი შეფასებები და ეკონომიკური წინსვლის ნაბიჯები მათი წარმატების მთავარი ფორმულაა, ერთერთი ასეთი ქვეყანა, ყველა ზემოჩამოთვლილი საშუალო კრიტერიუმებით არის ა.შ.შ. სამხრეთ კავკასიის რეგიონი ვალდებულია იმოქმედოს სწორი და პოლიტიკურად გამართლებული ნაბიჯებით, რადგან ა.შ.შ ძალიან დიდ პოლიტიკურ თუ ფინანსურ რესურს ხარჯავს იმისთვის, რომ ეს რეგიონი მეტად განვითარებული იყოს ვიდრე დღეს. ეკონომიკურ ჭრილში განვითარება შეიძლება გაუჭირდეთ ქვეყნებს, მაგრამ დემოკრატიის ინდექსით განვითარება, დემოკრატიული ინსტიტუტების აშენება და განვითარება მარტივია თუ არსებობს „ნება“ მხოლოდ სურვილია საჭირო იმისთვის, რომ დემოკრატიულობის ინდექსით ნებისმიერი ქვეყანა განვითარდეს, იყოს უკეთესი სასამართლო სისტემა, ნაკლები კრიმინალი და კორუფცია. კახა ბენდუქიძე ინტერვიუში ასე ხსნის კორუფციის სახეს „ კორუფია გაქრა ასეთი ტერმინი არ არსებობს, რადგან ის სულ არსებობს, მთავარია ყურადღება, რომ ვერ შეძლოს გაფართოვება და ქვეყნის სტრუქტურებში შეღწევა, კორუფცია სარეველა ბალახს გავს, ყოველთვის ჭირდება „მარგვლა“ რეგიონს საკმარისად აქვს მხარდაჭერა აშშ დან, ქვეყნებმა უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, საკუთარი განვითარებისთვის, ესაა ერთადერთი და სწორი გზა ამ სტიცუაციაში. სხვა შემთხვევაში აშშ ჩართულობა და დახმარების პაკეტები შესუსტდება და იმ ეტაპს მიაღწევს, რომ დავრჩებით რეგიონში რუსეთის და თურქეთის გადაწყვეტილებების

შემსრულებლად, რაც გამოიწვევს რეგიონში ქვეყნების პოლიტიკური რუკიდან გაქრობას, როდესაც სხვა მეზობლები ვითარდებიან ხოლო ჩვენი ქვეყნა - ვერა. შედეგი იქნება პოლიტიკური რუკიდან ამოშლა. თითოეული შანსი და ფინანსური დახმარება მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს რეგიონმა, რომ მოახერხოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსიდან, განვითარებულ ქვეყნის სტატუსამდე მიღწევ. ვიმედოვნებ ჩვენი ქვეყანა და უამრავ სირთულეს გავლილი სამხრეთ კავკასიის რეგიონი იქნება განვითარებულ ქვეყნების რიცხვში, სხვა შესაძლო ალტერნატივა არ არსებობს.

ნაშრომში ნათლად და მკაფიოდ იქნა აღწერილი ჰიპოთეზა, ჩვენ ნათლად ვხედავთ ამერიკის დამოკიდებულებას სამხრეთ კავკასიის მიმართ, რაც უმთავრესად ვლინდება ფინანსურ დახმარებაში და ასევე დეკომრატიული ინსტიტუტების განვითარებაში, ყოველივე ამის გათვალისწინებით აშშ ცდილობს, რომ სამხრეთ კავკასია არ დაუბრუნდეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობას, მაგრამ მხოლოდ მათი ჩართულობა იქნება უმნიშვნელო თუ თავად სახელმწიფოებმა არ მოინდომეს განვითარება და ხელი არ შეუწყვეს დემოკრატიის ინსტიტუტების მშენებლობას, რასაც დღევანდელ პერიოდში სამხრეთ კავკასიის რეგიონში ვაწყდებით, დემოკრატიული ინსტიტუტები ნელი ტემპით, მდორედ ვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალადაშვილი, ბესიკ. *„სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური.* თბილისი: თბილისი 2010, 2014.

2. კარაპეტიან, რომან. *„პოლიტიკა კავკასიის ირგვლივ“ .* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , 2017. 23.

3. ავდალიანი, ემილ. „ახალი გეოპოლიტიკური რეალიები სამხრეთ კავკასიაში“ გვ.15 "ჯეოქეისის" 6 აპრ. 2021

4. ბატაშვილი, დავით. *ამერიკის სტრატეგია და საქართველო.* თბილისი: რონდელის ბლოგი, 2018.

5. გაბედავა, მერი, მაია მანჩხაშვილი. „The main political actors in the South Caucasus .“ *პოლიტიკა კავკასიის ირგვლივ .* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , 2017. 25.

6. ვეკუა, კონსტანტინე. „მშვიდობა, როგორც საერთო სიკეთე და დემოკრატიის.“ *პოლიტიკა კავკასიის ირგვლივ .* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , 2018. 21.

7. ვერულავა, თენგიზ. „Pension Reform in South Caucasus .“ *პოლიტიკა კავკასიის ირგვლივ .* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , 2017.

8. პიპინაშვილი, დავით. *სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

9. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. „თანამშრომლობა აშშ-სთან.“ *თანამშრომლობა აშშ-სთან*, 2021:

10. Baban, Inessa, and Zaur Shiriyev. *THE U.S. SOUTH CAUCASUS.* ankara: Turkish Policy, 2010.

11. Cornell, Svante, Frederick Starr, and Mamuka Tsereteli. *A Western Strategy for.* Washington: Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, 2015.

12. Eugene, Rumer, Richard Sokolsky, and Paul Stronski. *U.S. POLICY TOWARD.* Washington: Carnegie Endowment for International Peace, 2017.

13. Nixey, James. *The South Caucasus:.* MINSK: https://doi.org/10.1002/9781444391565.ch7, 2010.

14. Sergey, M, and Maxim Suchkov. *Russia and the United States in the Caucasus:.* https://doi.org/10.1080/23761199.2020.1732101, 2020.

15.Tsereteli, Mamuka, S. Frederick Starr, and Svante Cornell. *A Western Strategy for.* Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program –, February 2015 .

16) Minority Rights Group International, World Directory of Minorities and Indigenous Peoples – Iraq, November 2017

17) William L. A History of The Modern Middle East, Cleveland, 2009

17) Charles T. A History Of Iraq, Cambrige University Press 2007

19) Outline of Anglo-Iraq Treaty, 1927

20) Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York, 2004

21) William V. The Iraq Treaty, London 1931

22) Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009

22) Uriel D. Iraq Under Qassem, New York 1969

24) Kamrava M. The Modern Middle East, Georgetown University 2005

25) Role of Kuwaiti Armed Forces in the Persian Gulf War. 1993

26) Saudi Arabia – Persian Gulf War, 1991 42) The Role of the United Arab Emirates in the Iran-Iraq War and the Persian Gulf War. 1993

2021ᦶ